# საქართველოს რესპუბლიკა


დაარსებულია 1918 წელს.


პარასკევი, 4 ივნისი, 2010 წელი.

№103 (6469)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ამჟამინდელი პიონერების ფიცი:

## მზად ვართ მარად მიშას დასაცავად!



7

## თბილისი ირანს უახლოვდება, მაგრამ ვაშინგტონი თვალს არ აშორებს

8



5

## პატარებს პატრიარქის მოწყალე გული ათბობს

## ხერხეულიძიანთ ეკამ რვაასი ათასი დოლარის შეგროვება „შეგვიკვეთა“

3



## როგორც ასი ახალი საავადმყოფო აშენდა, ისე განხორციელდება დაზღვევის ახალი პროექტიც?

6



## გასაკეთებელი კია ბევრი, მაგრამ გააკეთებენ?

4

## „ხელისუფლება დანაშაულებრივ



2

## მოქმედებებს აგრძელებს“...

## ბაბალე ბებო კვნესის — მე საიდან გამასვენებთო

4

## ლიტვის სეიმმა მხარი დაგვიჭირა

3

## როგორ გახდნენ ზანდუკელები სანდუნოვები

9



## ამბავი შემცარ, მშიერ და გლახაკ კაცთა...

5

მოწოდება

# ბრძოლა უნდა გაგრძელდეს...

„ქართული აკადემია“ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლის ერთადერთ, ქვეყნისა და ხალხისათვის უსაფრთხო გზად მიიჩნევს მშვიდობიან, კონსტიტუციურ ჩარჩოებში მიმდინარე ბრძოლას, რომელიც სამართლიან, დემოკრატიულ არჩევნებში ოპოზიციური ძალების გამარჯვებით უნდა დასრულდეს. სულ უფრო მზარდი საგარეო საფრთხეების, ხოლო ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი აზრის უკიდურესი პოლარიზაციის პირობებში ამ გზას ალტერნატივა არა აქვს. ჩვენ ასე ვფიქრობდით 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე და ასე ვფიქრობთ დღესაც.

30 მაისის ფალსიფიცირებულმა არჩევნებმა კიდევ ერთხელ და კიდევ უფრო მკაფიოდ დაგვანახა, რომ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელისუფლების მთავარ ინსტრუმენტად რჩება ძალადობა, პირდაპირი მუქარა, შანტაჟი, მოსყიდვა, ფსიქოლოგიური და მორალური ტერორი, საზოგადოებაში ტოტალური შიშისა და უიმედობის დანერგვა.

„ქართული აკადემია“ მადლიერებას გამოხატავს იმ ჭეშმარიტი ოპოზიციური ძალების მიმართ, რომლებმაც არ შეუშინდნენ ხელისუფლების გამოწვევას და ჩაებნენ ამ უთანასწორო ბრძოლაში, რითაც ნათლად დაანახეს რეჟიმს, რომ საზოგადოება და მისი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური ორგანიზაციები არასდროს შეურიგდებიან უსამართლობას, ცინიზმს, ადამიანის უფლებებისა და ქვეყნის ინტერესების გათელვას.

დარწმუნებული ვართ, რომ ოპოზიციის მეტი ერთსულოვნების, კონსოლიდაციისა და ერთიანი კანდიდატის გამოკვეთის შემთხვევაში ამ უსამართლო არჩევნების შედეგი სხვაგვარი იქნებოდა. საჭირო იყო მხოლოდ ის უტყუარი ფაქტის აღიარება, რომ თბილისის მერობის კანდიდატებს შორის მხოლოდ ერთს ჰქონდა გამარჯვების რეალური შანსი. ამ შემთხვევაში საზოგადოების კიდევ უფრო დიდ ნაწილს გაუჩნდებოდა რწმენა და მოტივაცია საარჩევნო ყუთებთან მისასვლელად და ვერც გაყალბებული ეგზიტპოლების ავტორები გაბედავდნენ უზუსტობასა და ნაცმოძრაობისათვის 60-პროცენტიანი მხარდაჭერის დადასტურებას.

აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ვერც არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურმა პარტიებმა, ვერც ჩვენ, მათმა მხარდამჭერებმა, ვერ უზრუნველვყავით საზოგადოების სათანადო მოტივირება და საარჩევნო კამპანიის დროს ვერ შევძელით საზოგადოებაში გამეფებული შიშისა და ნიჰილიზმის დაძლევა.

„ქართული აკადემია“ ვალად მიიჩნევს, გულწრფელი პატივისცემითა და მადლიერებით შეეხმიანოს იმ ადამიანებს, რომლებიც არ შეეპუნენ უიმედობის, შიშისა და ბინძური გარიგებების ატმოსფეროს, მივიდნენ არჩევნებზე და პატიოსნად გამოხატეს საკუთარი ნება. ასეთი მოქალაქეების სიმრავლე სტიმულს გვაძლევს მომავალი ბრძოლებისათვის.

დღეს არ არის მოდუნების, ხელების ჩამოშვებისა და ნიჰილიზმის დრო.

პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, ეს არის ოპოზიციური ძალების გაერთიანება სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნისთვის ბრძოლაში. ეს არის ბრძოლა სამართლიანი საარჩევნო კანონმდებლობის, საარჩევნო პროცედურების სწორი რეგლამენტაციის, ძალოვანი სტრუქტურების დეპოლიტიზაციის, ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსების უკანონო გამოყენების და სხვა მანიპულირებათა აღმოფხვრისათვის. ამით ჩვენ დავიბრუნებთ ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლის საარჩევნო ინსტრუმენტს, რომელიც მთლიანად უზურპირებული აქვს სააკაშვილს და ქვეყანას ნორმალური განვითარების პერსპექტივას დავუბრუნებთ. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს აზრი ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნას.

საგულისხმოა, რომ ამ მიმართულებით ოპოზიციას უკვე გადადგმული აქვს სერიოზული ნაბიჯი. მხედველობაში გვაქვს ათი პოლიტიკური სუბიექტის მიერ ორიოდე თვის წინათ ხელმოწერილი დოკუმენტი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ.

„ქართული აკადემია“ მოუწოდებს ხელმომწერ პარტიებსა და პროცესში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, დაუყოვნებლივ განაახლონ კონსულტაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სამართლიანი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა ის თემაა, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანია ყველა ოპოზიციური პოლიტიკური სუბიექტისათვის, მთელი საზოგადოებისა და ჩვენი ერთობლივი ბრძოლისათვის ქვეყნის დამღუპველი რეჟიმის წინააღმდეგ.

**„ქართული აკადემია“**
03.05.2010

მხარდაჭერა

## კოსოვოს აღიარება საქართველოსთვის პრეცედენტი ვერ გახდება

**– კოსოვოს აღიარება საქართველოსთვის პრეცედენტი ვერ გახდება, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ბუქარესტში საქართველოსა და რუმინეთის პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრის შემდეგ რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბასესკუმ განუცხადა.**

– მინდა, აღვნიშნო, რომ კოსოვოს აღიარება საქართველოსთვის პრეცედენტი ვერ გახდება. ნატოს სამიტი გვიახლოვდება და კარგად გვესმის საქართველოს მისწრაფებები. ჩვენი პოზიცია იგივე რჩება. დარწმუნებულები ვართ, რომ საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება. ამის ზუსტ დროს ვერ დავასახელებთ, მაგრამ საქართველოს ალიანსში გაწევრიანება სამოქმედო გეგმაში ზის.

მისივე თქმით, რუმინეთი მხარს არ უჭერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის უსაფრთხოების პროექტს.

– მედვედევის პროექტი ევროპაში უსაფრთხოების პრობლემას ვერ გადაჭრის, – აღნიშნა მან საქართველო პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

აქცია – მოთხოვნა

**თბილისში, ჩოგბურთის კორტებთან ტრაგიკულად დაღუპული ზურაბ ვაზაგაშვილის ხსოვნის მემორიალური დაფა რამდენიმე დღის წინათ ჩამოხსნეს. ამასთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს მრავალი პოლიტიკური მოძრაობა და არასამთავრობო ორგანიზაცია გამოეხმაურა. განცხადება გააკეთა ადვოკატმა და მოძრაობა „გამარჯვებისთვის“ თავმჯდომარემ შალვა ხაჭაპურიძემაც. მისი თქმით, ვიდრე მებრძოლი ოპოზიციური სპექტრი და საზოგადოება არ გაერთიანდება, საკუთარ ღირსებას და პოზიციას არ დაიცავს, ხელისუფლების დანაშაულებრივი ნაბიჯები ყოველდღიურად ხელშესახები იქნება.**

# „ხელისუფლება დანაშაულებრივ მოქმედებებს აგრძელებს“...



გუშინ, საზოგადოება ჩოგბურთის კორტებთან შეიკრიბა და სამართალდამცავ ორგანოებს 48-საათიანი ვადა მისცა მემორიალის აღსადგენად. კორტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მემორიალური დაფა, რომელიც 2 მაისს გაკეთდა, არჩევნების დასრულებისთანავე საეჭვოდ გაქრა და ხელისუფლება ისევ აგრძელებს დანაშაულებრივ ქმედებებს.

მათი ინფორმაციით, ზ. ვაზაგაშვილის ხსოვნის მემორიალური დაფა 1 ივნისს ღამით ჩამოხსნეს, ან მოიპარეს. სწორედ ამიტომ „გადაარჩინე სიცოცხლე“ მოითხოვს სასწრაფოდ ფაქტის სრულად გამოძიებას. ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე ფიქრობს, რომ მემორიალური დაფის ჩამოხსნა ხელისუფლების ნამოქმედარია და არჩევნების შემდეგ ისევ დაიწყო დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელება, რომელიც ხელისუფლების ყოველდღიურობას წარმოადგენს.

ზურაბ ვაზაგაშვილის მამის იური ვაზაგაშვილის თქმით, თუ მოცემულ ვადაში სამართალდამცავი ორგანოები ფაქტს არ გამოიძიებენ, მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლე“ ფართომასშტაბიან აქციას გამართავს და მემორიალურ დაფას პირვანდელ ადგილს დაუბრუნებს.

**იური ვაზაგაშვილი:** „ეს იყო ჩვენი შვილების კიდევ ერთხელ დახვრეტა და შეურაცხყოფა. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ვერ მოითმინა და არჩევნების დასრულების დღესვე მემორიალური დაფა ადგილიდან გააქრო. მივმართავ პრეზიდენტს, შინაგან საქმეთა მინისტრს და ახლად არჩეულ თბილისის მერს, რომ მომხდარი გამოიძიონ 48 საათში. მივმართავ, ასევე, საზოგადოებას, რომ კიდევ ერთხელ და კარგად დაფიქრონდნენ, როგორი რეჟიმის ქვეყანაში უწევთ ცხოვრება“.

შეგახსენებთ, რომ ზურაბ ვაზაგაშვილი 2006 წლის 2 მაისს, კორტებთან სპეცოპერაციის დროს დაიღუპა. „გადაარჩინე სიცოცხლე“, ფაქტის გამოუძიებლობის შემთხვევაში, მორიგ აქციას 8 ივნისს ისევ ჩოგბურთის კორტებთან გამართავს და ამჯერად – უფრო ფართომასშტაბიანს.

**ხატია მუსერიძე**

პრესკონფერენცია

**მას შემდეგ, რაც ეკა ბესელია ირაკლი ოქრუაშვილის პარტიიდანაც წავიდა და ერთი შეხედვით აქტიურ პოლიტიკასაც ჩამოშორდა, ისევ თავის ძველ პროფესიას დაუბრუნდა და ადამიანის უფლებებისთვის როგორც ადვოკატი ისე იბრძვის. იმის გარდა, რომ „სახალხო სასამართლოსთან“ აქტიურად თანამშრომლობს, არის საზოგადოებრივი მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ერთ-ერთი ლიდერი და ის იშვიათი გამონაკლისი, რომელმაც რაღაც საკითხის (ამ შემთხვევაში უკანონო პატიმრების ირგვლივ მაინც შეძლო ოპოზიციისა და საზოგადოების დიდი ნაწილის გაერთიანება.**

# უკანონოდ დაპატიმრებულთა რიცხვი იზრდება



ამჯერად, საზოგადოებრივმა მოძრაობამ „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ პოლიტიკური ნიშნით და უკანონოდ დაპატიმრებულთა ახალი 50-წევრიანი სია წარმოადგინა.

სიის შედგენაში ისევ დაკავებულთა ოჯახები მონაწილეობდნენ. მოძრაობის ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ცნობილი გახდა, რომ დაწყებული კამპანიის ფარგლებში უკვე მოხერხდა რუსთავის №2, №6, გლდანის №6, გეგუთის №8 და ბათუმის საპყრობილეების შემოწმება. როგორც ირკვევა, ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად არაერთი დარღვევა აღმოჩნდა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად საპყრობილეების პატიმრებით გადატვირთვა, მათ მიმართ არასათანადო და სასტიკი მოპყრობა, არასათანადო სამედიცინო მომსახურება და საკვებით უზრუნველყოფა გამოიკვეთა.

ეკა ბესელიას ინფორმაციით, ხშირია შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებული ქალბატონები საპატიმრო ადგილს ისე იცვლიან, რომ ამის შესახებ მათი ოჯახის წევრებს არაფერს ატყობინებენ. გაუმჭვირვალედ მუშაობს პატიმართა გათავისუფლების კომისიაც, რომელიც მსჯავრდებულების მიმართ შერჩევითი კანონის მუხლით მოქმედებენ. ადვოკატმა ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად შეაფასა 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული საკითხების სამინისტრის ხაზით კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი დასვა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ამ მინისტრის მუშაობით ფრიად კმაყოფილია, მის სავარძელზე შეტევა ამ შემთხვევაში უპერსპექტივო ცდაა, მაგრამ მარტის ამინდებივით ცვალებად ქართულ პოლიტიკაში არავის არაფერი უკვირს, მით უმეტეს – პრეზიდენტისა და მთავრობის მხრიდან.

ეკა ბესელიამ სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. ის ხათუნა კალმახელიძისთვის კითხვების გაგზავნას აპირებს იმ საკითხების გასარკვევად, თუ რამდენი თავისუფალი ადგილია საპატიმროებში გათვალისწინებული პატიმრებისთვის, რამდენია ამ დროისთვის თავისუფალი, რა ნუსხით და რა პრინციპით მოხდა იმ ორგანიზაციების შერჩევა, რომლებიც საპატიმროებს საკვებსა და მედიკამენტებს მიაწვდის და რატომ არ უზრუნველყო პრობაციის სამინისტრომ წინასწარ დაკავებაში მყოფი პატიმრების არჩევნებში მონაწილეობა.

მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე შიდა გამოძიებას ჩაატარებს, შედეგს კი საზოგადოებას მხოლოდ მონიტორინგის მეორე ეტაპზე გააცნობს. შედეგები და ახალი 50-კაციანი სია საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებსაც გადაეგზავნება.

იგეგმება საპროტესტო აქციების განახლება პოლიტიკური ნიშნითა და უკანონოდ დაპატიმრებულთა გათავისუფლების მოთხოვნით. ამჟამად ორგანიზაციის შედგენილ უკანონო პატიმართა სიაში 250-მდე ადამიანია შეყვანილი, რომელთა რიცხვი საგრძნობლად კიდევ გაიზრდება.

**ანა წიწილაშვილი**

გუშინდელი ფოსტიდან

# ხერხეულიძე ეკას „თაოსნობა“ ჩვენი გახვრეტილი ჯიბის ხარჯზე...



**დიდი ხანია, ეს ჩვენი ეკუნა ხერხეულიძე, ეკრანზე არ გამოჩენილა და რა კარგია, რომ წუხელ კიდევ ერთხელ ვიხილეთ... ოღონდ ამჯერად მწუხარე სახით. სხვანაირად, ალბათ, არც შეიძლებოდა, რადგან რაც მან ითავა, ჩვენი პირველი პრეზიდენტის ბედს უკავშირდება. ხომ უნდა გაირკვეს – ბნელმა ძალებმა მართლა ვერაგულად მოკლეს ზვიად გამსახურდია თუ ბედისაგან გატანჯულმა თავად მოიკლა თავი. არადა, პრეზიდენტის უფროსი ვაჟი, დიდი პაპის მოსახელე, არამართლმორწმუნე ოპოზიციონერი კონსტანტინე გამსახურდია ძალიან, ძალიან, ძალიან დაგვიანებით იკლავს თავს, გინდათ თუ არა მამაჩემი მოკლეს და ხიბულაში დროშა რომ გააგდებინეს ხელიდან, სააკაშვილის პარლამენტში მე უნდა შემოვიტანოო...**

მოკლედ, საქმე ის არის, რომ ჩვენი პირველი პრეზიდენტის მკვლელობის სიმართლე ვერც საქართველოში და ვერც თვით ევროპაში დღემდე ვერავინ ვერ დაადგინა და ამიტომ ამერიკაში, კერძოდ, სანფრანცისკოში, მოიძებნა ყოვლის, ყოვლის, ყოვლის შემძლე კაცი, ოღონდ ძალიან, ძალიან, ძალიან „ანაზღაურებადი“, რომელიც რვაასი ათასი ამერიკული დოლარის ფასად „ჩამოვა საქართველოში და ნათელს მოჰფენს აგერ უკვე თითქმის ოცი წლის მანძილზე პოლიტიკური უკუნეთით მოცულ საქმეს“ (თუ ვერ მოჰფინა, რასაკვირველია, გადასახდელ ზემოხსენებულ რვაასიათას ამერიკულ დოლარს ერთი ცენტიც არ დააკლდება!ძ.

მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ამ საქმისთვის საჭირო რვაასი ათასი არც სახელმწიფოსა აქვს, არც პარლამენტს, არც თვითონ ყოფილი პრეზიდენტის ვაჟს კონსტანტინე გამსახურდიას და აი სწორედ ამ დროს გამოჩნდა მხსნელად ხერხეულიძის ქალი, ქალბატონი ეკა, თავის დროზე პოლიტიკაში ზვიად გამსახურდიასაგან ხელდასხმული და მუდამ წყალგაუმტარი პოლიტიკური ძოლგის ქვეშ მოარული. თუმცა გამოჩნდა კი არა, პირდაპირ პარლამენტიდან მოუწოდა საზოგადოებას, ხალხს, რომ ყველამ, დეპუტატებმაც და არადეპუტატებმაც, ერთად შევაგროვოთ ის რვაასი ათასი დოლარი მაღალანაზღაურებადი სანფრანცისკოელი იურისტისთვის, რომელმაც „ხიბულის ტრაგედიის ცხრაკლიტული საბოლოოდ უნდა გახსნას“.

ერთი სიტყვით, იწყება ახალ შეწირულობათა ხანა. რას მიქვია სიღარიბე და გაჭირვება! თუ ქართველი ხარ და თანაც მართლაც გახარებს ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება, უკანასკნელი თეთრი, ამ შემთხვევაში ცენტი, უნდა გაიღო, თუ გინდა რომ მართლაც ჭეშმარიტი ქართველის სახელი გერქვას!

როგორ არ მინდა, ბატონებო, როგორ არ მინდა, რომ ჭეშმარიტი ქართველის სახელი მერქვას, მაგრამ მე და ჩემს ოჯახს და ჩვენსავით, ალბათ, ნახევარ საქართველოს, სხვისთვის ფულის შეგროვება კი არა, ნეტავი აქეთ შეგვეწეოდეს ვინმე. ძალიან ხშირად ცარიელი პური და ტკბილი ჩაიც კი სანატრელი გვაქვს. თანაც ასეთ საქციელს უთუოდ არც თვითონ ცხონებული ზვიადი მოიწონებდა, რომლისთვისაც დამოუკიდებლობა, თავისუფლება და უკიდურესი სილატაკე შეუთავსებელი ცნებები იყო.



ნამდვილად მჯერა, ამ ჭეშმარიტად ღირსეულ ქართველს არც ის მოეწონებოდა, რომ იმ დროს, როცა ეს „ქრონიკული“ დეპუტატი – ქალბატონი ეკა ხერხეულიძე სანფრანცისკოელი „მაღალანაზღაურებადი“ პროფესიონალისთვის რვაასი ათასი დოლარის შეგროვების თაოსნობით გამოდიოდა, არც ბატონ კოკოს და არც თავად ხერხეულიძის ქალს სიტყვა არ დასცდენიათ, რომ იქვე პარლამენტის შენობის წინ ხალხმრავალი მიტინგი იყო გამართული ციხეში მოშიმშილე ცოტნე გამსახურდიას სიცოცხლის გადასარჩენად.

რა ვქნა, არა მგონია, რომ ზვიად გამსახურდიას, მკვდარსაც კი, თავისი სამშობლოსა და ვაჟიშვილის ბედზე მეტად თავისი ტრაგიკული სიკვდილის მართალ-ტყუილის გარკვევა ეგულისყურებოდეს, თანაც აგრე ძვირად და, ცოტნესაგან განსხვავებით, ციხის გარეთ მოშიმშილე საქართველოში...

აი, „თაოსნობაც“ ამასა ჰქვია!..

**ზაურ დარახველიძე,**
ჩარეცხილი პედაგოგი.
ქ. ბოლნისი. 3.V.10 წ.

ლიტვის სეიმის მხარდაჭერა

# რეზოლუცია საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ



„ახორციელებს რა ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის 67-ე მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ სეიმის უფლებამოსილებას საგარეო პოლიტიკის საკითხების განხილვის შესახებ, ხელმძღვანელობს რა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, როგორც ამას ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის 135-ე მუხლის 1 ნაწილი ავალდებულებს, განსაკუთრებით – ძალის გამოუყენებლობისა და საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარების, სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით დამკვიდრებული პრინციპებით, უარყოფს რა როგორც საერთაშორისო სამართლისა და სამართლიანობის პრინციპებთან შეუთავსებელს, ძალადობისა და ზეწოლის პოლიტიკას უფრო პატარა მეზობელი სახელმწიფოების მიმართ, რომელიც ეფუძნება „ახლო საზღვარგარეთის“ ან განსაკუთრებულ ინტერესთა მსგავსი ზონების კონცეფციებს, გმობს რა აგრესიის ყველა ფორმას, მათ შორის – შეიარაღებულ თავდასხმას და სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრას, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვას, მის ოკუპაციასა და ანექსიას, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქალაქეობის მასობრივ უკანონო მინიჭებასა და ცრუსახელმწიფოებრივი მარიონეტული წარმონაქმნების შექმნას, ადამიანის უფლებათა მძიმე და სისტემატურ დარღვევებს, ეთნიკური წმენდის ჩათვლით, ადამიანობის წინაშე ჩადენილ სხვა, ასევე სამხედრო დანაშაულებებს, აღნიშნავს რა, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების სუბიექტი არ შეიძლება, იყოს გარკვეული ტერიტორიის მოსახლეობა, თუ ამ ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს ხელშეწყობით ეთნიკური წმენდის შედეგად არსებითად შეცვლილია დემოგრაფიული მდგომარეობა და იქ დარჩენილ მცხოვრებლებს მასობრივად მიენიჭათ იმ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობა, ხაზს უსვამს რა, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, არ შეიძლება ცნობილ იქნეს ძალის გამოყენების ან მისი გამოყენების მუქარის შედეგად ტერიტორიის დაპყრობა, ასევე დაპყრობილ ტერიტორიაზე შექმნილი ცრუსახელმწიფოებრივი მარიონეტული წარმონაქმნები, ანგარიშს უწევს რა გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მიერ 1993-2009 წლებში საქართველოსთან დაკავშირებით მიღებულ 30-ზე მეტ რეზოლუციას, რომლებიც ითვალისწინებდნენ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ისეთ პრინციპებს, როგორიცაა საქართველოს სუვერენიტეტისა და მისი ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემა, საქართველოს საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საზღვრების ხელშეუხებლობა, ძალისმიერ დემოგრაფიულ ცვლილებებსა და აფხაზეთის მოსახლეობის შემადგენლობის შეცვლასთან შეურიგებლობა, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლში უსაფრთხო დაბრუნების უფლება, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება აფხაზეთისთვის საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ფართო ავტონომიის მინიჭებით, მხარს უჭერს რა ლიტვის რესპუბლიკის სეიმის საგარეო საქმეთა კომიტეტის 2009 წ. 15 ივლისის განცხადებას საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ბალტიის ასამბლეის 2009 წ. 28 ნოემბრის დეკლარაციას საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით და დემოკრატიული თანამეგობრობის საპარლამენტო ფორუმის 2010 წ. 12 მარტის რეზოლუციას საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, სინანულით აღნიშნავს რა, რომ რუსეთის ფედერაცია არ ასრულებს 2008 წ. 12 აგვისტოს სამშვიდობო შეთანხმების ვალდებულებებს, არ გაჰყავს თავისი სამხედრო ძალები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე და უკანონოდ აღიარა მის მიერ მხარდაჭერილი მარიონეტული წარმონაქმნები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ასევე დაბლოკა გაერთიანებული ერებისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციების დამკვირვებელთა მისიების ვადის გაგრძელება და ხელს უშლის ევროპის კავშირის დამკვირვებელთა მისიის საქმიანობას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ლიტვის სეიმი აღიარებს საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას, რომლის ნაწილი, საქართველოს კონსტიტუციის I მუხლის თანახმად, არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულის ტერიტორია, ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საზღვრების ხელშეუხებლობას და რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე და მარიონეტული რეჟიმების მოქმედებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აფასებს, როგორც საქართველოს ტერიტორიის ნაწილების უკანონო ოკუპაციას, რაც ზოგადი საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმით დადგენილი ძალის გამოუყენებლობისა და ძალით დაუმუქრებლობის შესახებ საერთაშორისო ვალდებულების მძიმე დარღვევაა. ლიტვის სეიმი აცხადებს, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, საერთაშორისო ვალდებულების ასეთი მძიმე დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ითანამშრომლონ, რათა კანონიერი საშუალებებით აღკვეთილ იქნეს ასეთი მძიმე დარღვევა, არ სცნონ კანონიერად ამ დარღვევის შედეგად შექმნილი ვითარება და არ გაუწიონ დახმარება და მხარდაჭერა ასეთი ვითარების შენარჩუნებას.

ასევე ვაცხადებთ, რომ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ზონაში მშვიდობისა და უშიშროების აღსადგენად საჭიროა შემდეგი მთავარი პრინციპებით ხელმძღვანელობა: რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის ნაწილებიდან, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი მარიონეტული ფსევდოსახელმწიფოებრივი წარმონაქმნების არცნობა, ძალის ან სხვა ძალადობის არგამოყენება, ლტოლვილებისა და იძულებით გადასახლებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნება სახლებში, საქართველოს იურისდიქციის აღდგენა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, მისი კონსტიტუციის შესაბამისი და ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიმზიდველი ავტონომიის ან თვითმმართველობის მოდელის დანერგვა ამ რეგიონებში, დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოს, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი პატივისცემის პრინციპების უზრუნველყოფა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, საერთაშორისო საზოგადოებრიობის და საერთაშორისო ორგანიზაციების ფართო მონაწილეობა ამ პრინციპების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით,

მოვუწოდებთ კონფლიქტის ორივე მხარეს, 2008 წ. 12 აგვისტოს სამშვიდობო შეთანხმების თანახმად აღებული ვალდებულებების განხორციელების მიზნით შექმნან პირობები დიალოგისათვის და თავი შეიკავონ მოქმედებებისაგან, რომლებიც ახდენენ კონფლიქტის ესკალაციას და გვაშორებენ კონფლიქტის საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მოგვარებისგან.

ლიტვის სეიმი მიესალმება დემოკრატიის განვითარების, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და სხვა საშინაო რეფორმებს საქართველოში, რათა უფრო ეფექტიანად მოგვარდეს შიდა პოლიტიკურ ვითარებასთან და ოკუპირებულ ტერიტორიებზე იურისდიქციის აღდგენასთან დაკავშირებული პრობლემები და გახდეს ევროპული და ტრანსატლანტიური ორგანიზაციების სრულუფლებიანი წევრი, ლიტვის სეიმი მოუწოდებს ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობას, იხელმძღვანელონ ამ რეზოლუციის პრინციპებით საგარეო პოლიტიკის საკითხების მოგვარებაში და მის განხორციელებაში, ასევე მიზნად დასახონ, რომ ეს პრინციპები განხორციელდეს ევროპის კავშირის საერთო საგარეო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების, საერთაშორისო უშიშროებისა და ადამიანის უფლებების საკითხების გადაწყვეტის დროს გაერთიანებულ ერებში, ნატოში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში, ევროპის საბჭოში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში“.

„პირველი“

## ◉ ხედვა შორიდან

# რას ნიშნავს „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“?

*თბილისის მერობის „კანდიდატის“ (თანამდებობაზე მყოფ პირს კანდიდატი არ ჰქვია, მაგრამ საქართველოში ყველაფერს ის ჰქვია, რაც არ არის) გიგი უგულავას სლოგანი – „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“ — ვიღაცებმა უკუღმა გაიგეს: „გასაფუჭებელი კიდევ ბევრიაო“. არადა, ბატონ გიგის აზრადაც არ მოსვლია გაფუჭება, ნამდვილად გაკეთებას გულისხმობდა. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ტყუილის მთქმელს მართალსაც არ დაუჯერებენო. პირადად ბატონ გიგის ტყუილები არ სჩვევია, მაგრამ პრეზიდენტმა ისე გაუტეხა სახელი თავისი ცრუპენტელობით მთელ სახელისუფლებო გუნდს, რომ მათი მართალიც ყველას ტყუილად ეჩვენება. ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო და ბატონი გიგიც სულ გაკეთებაზე ფიქრობს. უბრალოდ, ის, რაც აქამდე გააკეთა, ჩანს, საკმარისი არ ეჩვენება და უნდა, რომ „კიდევ ბევრი“ გააკეთოს. იგი, ისევე როგორც მთელი სახელისუფლებო გუნდი, ბატონი მიხეილის თამადობით, მხოლოდ გასაკეთებლად არის მოვლენილი ამ ქვეყნად (ე.ი. საქართველოში, თორემ სხვაგან ამდენს ვინ გაგაკეთებინებს?!).*




ისე, ძალიან „საქმიანი“ ახალგაზრდები კი ბრძანდებიან. ამის ნათელსაყოფად მათი ადრინდელი საპარლამენტო სლოგანიც კმარა: „საქმე ლაპარაკის ნაცვლად!“ პარლამენტი, მოგეხსენებათ, ლაპარაკის საქმეზე წინ დაყენებას ნიშნავს: ჯერ ლაპარაკი, გნებავთ, კამათი (ოღონდ არა ჩხუბი და ლანძღვა-გინება, თუმცა ჩვენს „პარლამენტში“ არც ჩხუბია და არც ლაპარაკი, რადგან გუგულებივით ჭუკჭუკებენ „საქმეზე“!ძ და მერე საქმე. ლაპარაკი თუ კამათი ჭეშმარიტების დაბადებას მოასწავებს, რაც ხელს უშლის „საქმეს“. ჭეშმარიტება ზოგჯერ ისე თავხედდება, რომ „სამშობლოზე“ მაღლდება. ამიტომ არის, რომ დღევანდელი ახალგაზრდები ლაპარაკის, პარლამენტის, ჭეშმარიტების მიმართ უპირატესობას ანიჭებენ „საქმეს“, როგორც გუშინდელი ახალგაზრდები - „სამშობლოს“. ამ მხრივ, ე.წ. „ნაციონალები“ ე.წ. „ეროვნულების“ სულიერი მემკვიდრეები არიან, იმ განსხვავებით, რომ ის, რაც ძველებისათვის „სამშობლო“ იყო, ახლებისათვის „საქმეა“..

„საქმის“ ბიძაშვილი სიტყვაა „გაკეთებაც“: სლოგანი „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“ არსებითად იგივეა, რაც „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“. მაგრამ არ იკითხავთ, მაინც რა „საქმეზე“, რის „გაკეთებაზეა“ აქ საუბარი? მაგას რაღა კითხვა უნდა, მეგობრებო: რა თქმა უნდა, პირადი კეთილდღეობის მოწყობის საქმეზე! ფულის, „კიდევ ბევრი“ ფულის გაკეთებაზე! სხვა, აბა, რაში უქნია ეს უმწიფარი და ცხვირმოუხოცავი (!ძ ყმაწვილები?! ერთადერთი, რაც იციან, ეს ფულის კეთებაა. ექვსი წელია ფულის კეთების მეტს არაფერს აკეთებენ, ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოსულებმა (ვიღაც-ვიღაცები ასე მარტო ზურაბ ნოღაიდელს იხსენიებენ, მაგრამ ყველანი ცალ-ცალი კალოშით მოვიდნენ!ძ მილიონები გააკეთეს და მილიარდებს მიელაპარაკებიან!

ამას წინათ, ამ ახალგაზრდების ჭკუაზე გაჩერებულმა ერთმა მოხუცმა „პოლიტიკოსმა“ გვახარა: საქართველოს კიდევ ერთი მილიარდერი შეემატაო. დალოცვილო, ფაბრიკა-ქარხნები არ მუშაობს, ვენახები და პლანტაციები გაჩანაგდა, მიწები დაიკარგა, რაც დარჩა, მოუხნავდაუთესავია და აღარ კითხულობ, რის კეთებით გახდა ის ოჯახქორი მილიარდერი? რის და, როგორც მოგახსენეთ და თქვენ თვითონვე მოგეხსენებათ, ფულის კეთებით! ამისათვის კი სულ უბრალო რამ არის საჭირო - ხელისუფლებაში ყოფნა! ისე როგორ იქნება, ხელისუფლების რომელიმე კუთხე-კუნჭულში იყოთ და რაღაც საქმეში უსაქმურად წილი არ გქონდეთ?! თუმცა წილიც რომ არაფერში გქონდეთ და გაკეთებითაც, ცხადია, არაფერს გააკეთებთ, მარტო „ხელფასზე“ რომ იჯდეთ, ეს დალოცვილი „ხელფასი“ იმხელაა, რომ, მილიარდერი თუ არა, მილიონერს მაინც თავისუფლად გაგხდით!

მაგრამ ხელისუფალი კაცი, მით უმეტეს, მერად აღზევებული (პრეზიდენტად აღზევებულზე აღარას ვამბობ, ეს უკანასკნელი, მისი ყოფილი მინისტრის მხილებით, 2007 წელს უკვე მილიარდერი იყო!ძ მილიონზე ხომ ვერ გაჩერდება?! ჰოდა, საჭიროა, რომ „კიდევ ბევრი“ გააკეთოს! ამიტომ, პირდაპირ და დაუფარავად (ვიღას მოერიდონ?!ძ აცხადებენ, რომ სულ გააკეთებენ, რაც გასაკეთებელი დარჩათ!

— რაღა დარჩათ „გასაკეთებლიო“, — იკითხავს ნაღვლიანად ნაგვის ყუთისაკენ მიმავალი მკითხველი.

— საკუთარი თავიდან ნუ გამოხვალთ, ბატონებო! თქვენ, ცხადია, ვეღარაფერს გამოგრჩებიან, მაგრამ „ხომ არიან სხვებიც“?! ნახევარი საქართველო რუსეთსა და ევროპა-ამერიკაშია გახიზნული, რომლებიც მილიონობით ფულს უგზავნიან შინ ოჯახის წევრებს. მარტო რუსეთიდან წინა წელს 1,2 მილიარდი დოლარი გადმოიგზავნა საქართველოში და, როგორ გგონიათ, საბოლოო ჯამში, ვის ხელში ხვდება, ვინ „აკეთებს“ ამ ფულს? რა თქმა უნდა, ძლიერნი ამა უბედური ქვეყნისა! გარდა ამისა, შემოდის გრანტები, ინვესტიციები, კრედიტები... ამ მიზნით კი ნაგვის ყუთების ამარა დარჩენილი ადამიანებიც საჭირონი არიან: ისინი რომ არ ძნიდნენ რაოდენობას, ვინ მისცემდა ამხელა კრედიტებს ამ ვიგინდარებს?! თანაც, ამ უკანასკნელებმა ვილაცას ხომ უნდა დაუტოვონ თავიანთი ვალები?!

ასე, რომ „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“!

**ომარ ხახაშვილი,**
**ბელგიის მოქალაქე.**

## ◉ სატკივარი

# მე საიდან გამასვენებთო...

## კენესის ბაბალე ბებო და რამდენია იმისნაირი!

**ბაბალე ბებოს სახლს უყიდიან. მთელი თავისი ეზო-კარით, ბაღ-ბოსტნით, ვენახითა და ხეხილით, თავის მონაგარს, წინაპართა ნაფუძარს, მთელი სიცოცხლე რომ შეალია, იმ ფუძე-კერას.**

ბაბალე ბებოს სახლ-კარი ბორჯომის ულამაზესი ხეობის ერთ პატარა სოფელშია, დასავლეთით მტკვარი ჩაუდის, ირგვლივ მწვანე ნაბდიანი მთვარით რომაა შემოზღუდული, რომ იტყვიან სამოთხეაო, სწორედ აქაა. ლამის საუკუნეს მიღწეული მოხუცი დიდ განსაცდელშია, ღამეები გაუთეთრდა დარდისგან. დღე კიდევ ჰო, ჯერ ისევ შინაა, დადის, დაფუსფუსებს, ხან კედელს მიეფერება, ხან — ალუბლის ხის ტანს, ასე უხვად რომ მოუსხამს, კომშიც გადაირია წლეულს, ვაშლის ხეებმა შარშან ბლომად მოისხა, წელსაც ბარაქიანად ყვავილობენ. მერე ყვავილებსაც მიეალერსება, დადის და დაბუტბუტობს, აუჩემებია, მერე მე საიდან გამასვენებენ, უთქვენოდ სიკვდილი ხომ გამიორმაგდებაო...



გლეხის პირობაზე მაგარი ოჯახი ჰქონდათ, წინაპართა ნაჯაფარ-ნაამაგარს ცოლ-ქმარმაც თავიანთი წილიც ხომ მიუმატეს, ორსართულიანი სახლი გრძელი აივნებით, ნალია, თონე, ბოსელი, საქათმე... აი წყალიც, სახლის უკან ამართული და, რომ გეგონება ცას წვერით შებჯენიაო, იმ მთის უბიდან ჩამოყვანილი, დღედაღამ რომ მოჩუხჩუხებს, დალევ და მკვდარს რომ გააცოცხლებსო, ეგეთი სასწაული.

ეზო არც ისე დიდია, ძმებმა თავის დროზე გაიყვეს, მაგრამ რაც არის, ხომ ყველაფერი ჯანმრთელს, გემრიელს, ყუათიანს ახარებს და ახვავებს. ოღონდ ბარსა და თოხს ნუ გაუნაპირდები და, რა გინდა სულო და გულო, არ მოიწიო.

ბაბალე ბებომ სამი შვილი გაზარდა, მეუღლე ადრე გარდაეცვალა, მაგრამ უიმისობა არ დაატყო ოჯახს, სანამ ჯანი მოსდევდა, ხომ ყველგან ტრიალებდა, შინაც და გარეთაც. სხვის ჭირსაც იზიარებდა, ლხინში ხომ იყო და იყო. მტერსაც და მოყვარესაც პასუხს სცემდა. ამდენ გარჯა-ჯაფაში თვალებრდღვიალა ქალი გაილია, წელშიც ოდნავ მოიხარა, მაგრამ წუთითაც ვერ ისვენებს, ისევ ტრიალებს, დაფუსფუსებს, მეზობლებსაც შეეხმიანება, მერე ჭიშკართან, გრძელი სკამი რომაა, ქმრის სახსოვრად ისევ ისე მუხლმაგარი, იქ ჩამოჯდება, ქალებიც შეიკრიბებიან, მაგრამ, ვაი რომ, მალე აქაურობას მოანატრებენ.

ყველაზე უფრო ის ადარდებს, შვილიშვილები და შვილთაშვილები ვერ გალაღდებიან აქაურობაში, ჯანს ვერ გაიკაჟებენ, აქაურობას მათი მხიარული ჟივილ-ხივილი დაეკარგება. მის ნაფუძარზე სულ სხვა ხმები გაიჯეჯილებენ, იქნებ არაქართველებისაც კი. განა, ეგერ ლომინაძიანთ ნასახლარზე სხვა ჯურის მოაგარაკე არ ჩასახლდა? სადღაც 50-კომლიან სოფელში ნახევარზე მეტი „დაჩნიკები“ ჩამოდიან ზაფხულობით. ერთი თვე, ხან ცოტა მეტიც იხალისებენ, მერე გამოიხურავენ კარებს. ჰოდა, ასე თანდათანობით ყრუვდება სოფელი.

ახლა გაზაფხულია, ირგვლივ ყველაფერი მწვანედ ხასხასებს, განსაკუთრებით ნაძვების ყვავილობა უყვარს ამ დროს ბაბალე ბებოს, წვრილ-წვრილ წითლად მობრდღვიალე ნათურებით რომ შეიმოსებიან, ნაძვის ხესავით რომ აბრჭყვიალდებიან მზის სხივებში. მერე ნიავი რომ შემოუბერავს, სურნელოვანი მტვერი ნისლივით გაიფანტება ირგვლივ, ამ დროს პატარებისთვის აქ ყოფნას თურმე არაფერი სჯობს, ფილტვებს აკრიალებს, ბრონქებს აჯანსაღებს, ჟანგბადიც უფრო მსუყეა. მკვდარს რომ გააცოცხლებს, ეგეთიაო, ირწმუნება ბაბალე ბებო და საკუთარი გამოცდილებითაც იცის ეს.

წელს ცეცხლივით აბრიალებულ ნაძვებს მეც შევესწარი, ეს სასწაული პირველად ვნახე ამ ხნის კაცმა და ბავშვივით ამიტაცა ბუნების ამ საოცრებამ, სივრცეში, ხეობაში რომაა გაფენილი და მღვრიე, ბობოქარი მტკვრის ფაფარზე ამხედრებული. მხოლოდ უფალს შეეძლო შეექმნა, მერე კი სათავისო ქართველებს გვიბოძაო, ვამაყობთ თუ ვტრაბახობთ, დღევანდელი გადასახედიდან, ძნელი სათქმელია.

ზის თავის აივანზე ბაბალე ბებო და ღმერთს ევედრება, შველას სთხოვს, თავის გასაჭირს კი მტკვარს ატანს, იქნებ იქ, დედაქალაქში ჩასვლისას ვინმემ მოისმინოს და ყურად იღოსო.

ოჯახის უბედურება კი ვარდების რევოლუციას ფეხდაფეხ მოჰყვა. ერთადერთი ვაჟი, დაოჯახებული, ცოლ-შვილით გახარებული, ავეჯის ფაბრიკაში იყო დასაქმებული, მაგრამ ეს საწარმო ხუხულასავით დაანგრიეს, ამასობაში სააკაშვილმა ბიზნესის თავისუფლებაზე იქადაგა, მწვანე შუქს ავუნთებთო, ბანკებმაც ბანი მისცეს. იაფი კრედიტიო. და რაკი სხვა საქმე არ გააჩნდა, ბიზნესს მიჰყო ხელი, სესხი აიღო, ქალაქში 3-ოთახიანი ბინა რომ ჰქონდა, ის გირაოდ ჩადო. საქმეც კარგად აეწყო, თავის წარმოებაში რამდენიმე კაციც დაასაქმა. ეგაა და ავშენდი, თავსაც ვირჩენ, ქვეყანასაც წავადგებიო, მაგრამ...

აქაოდა, ბოლი ამოვიდაო, იმავ წამს დაესია ჯერ საგადასახადოს, შემდეგ ათასი ჯურის მაკონტროლებელი ჯანიან-ჯანიანი ბიჭები. და ეგრე ბდღვირი ადინეს. აბა, ბანკის ვალს როგორ დააბრუნებდა, გირაოდ ჩადებული ბინა გაუყიდეს, ისიც არ ეყო და სოფლად მამაპაპეული სახლი თუ არ გაყიდა, შავი დღე დაადგება, შვილს დაუჭერენ.

სულ ეგ არის ბაბალე ბებოს გასაჭირი, თითქოს ერთ ჭიქაში ჩასატევი, მაგრამ...

მერედა, რამდენი ბაბალეა ამქვეყნად...

**გივი ჯახუა**

სათქმელი

# „უმეცარ კაცსა გულით ნუ მიენდობი“...

## იქნება გვამცნოთ, მამაო, არის თუ არა გზა ხსნისა?

**თქვენი შეგონებანი, მამაო საბა, ბოლნისელმა კაცმა ბოლნისის ცენტრში აშენებულ კლუბის ფასადზე ამოაჩუქურთმა: „უმეცარ კაცსა გულით ნუ მიენდობი, მშიერს სახლში სტუმრად ნუ ეწვევი, გლახაკისაგან ჩუქება ნუ გინდა“.**

მას შემდეგ ყოველი ბოლნისელი, იმ ადგილზე გავლისას, თვალის ერთი შევლებით კიდევ ერთხელ კითხულობს მრავალჯერ წაკითხულს. კითხულობს მას, რაც თქვენ, მამაო, არა მარტო საორბელიანოში მაცხოვრებლებისთვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის იქადაგეთ.

გულახდილად უნდა მოგახსენოთ, თქვენი შეგონებებით ცხოვრება დღეს წარმოუდგენლად ძნელია. იქნებ ეს იმის ბრალია, რომ ჩვენს ეპოქაში ცდილობენ, გააუ-



ფასურონ თქვენს ეპოქაში დაწერილი შეგონებანი — ზნეობრივი ნორმები (ჩვენი ხალხი ფასეულობებისთვის სხვა ქვეყნებში გარბის).

დღეს დაკონკრეტება მოითხოვა სიტყვამ „უმეცარმა“ და, თუ თქვენი ნება იქნება, ჩვენ მას შევცვლით სიტყვებით „გონებამოდიფიცირებული“ და „ზნეობამოდიფიცირებული“, რადგან, როცა საქმე ეხება საკუთარი ინტერესების დაცვას, ბევრი ფულის შოვნას, „უმეცარნი“ განსაცვიფრებლად გონებაგახსნილები და ნიჭიერები ხდებიან.

ჩვენ მოვახსენებთ თქვენს სულს, საუკუნეებიდან გამოხმობილს, რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს პოლიტიკოსთა მიერ ჩატარებული წინასაარჩევნო კამპანიიდან და იყავით მსაჯული, მამაო საბა, მათი დაპირებების რეალურობისა.

„ალიანსი“ თბილისის მოქალაქეებს ჰპირდებოდა, რომ დააფუძნებდა ფონდს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის დაბალი საპროცენტო განაკვეთით, შემოიღებდა, გარკვეული ფენის მოქალაქეებისთვის უფასო სამედიცინო მომსახურებას.

ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქე ხვდება, რომ თუ მართლა დაასაქმებდა ალიანსი თბილისელ მოქალაქეებს, ეს მოხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ვაჭრობაში და მომსახურების სფეროში, სადაც დასაქმებულები ეროვნულ შემოსავალს ვერ ქმნიან და ასეთი დასაქმება მასთან ერთად უფასო ჯანდაცვა, იწვევს ეროვნული ვალუტის მკვეთრად გაუფასურებას, ე. ი. სხვა დასაქმებულთა ხელფასების მყიდველისუნარიანობის მკვეთრად დაცემას.

კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებით და მისი რეალიზაციით დასაქმებას ვერც ერთი პოლიტიკური პარტია თუ ბლოკი მოქალაქეებს ვერ უზრუნველყოფდა.

არ არის ადვილი, რაღაც ფონდების დაფუძნებით, იმ ეკონომიკური სექტორის გამოცოცხლება, რომელსაც 1988 წლიდან ანგრევენ.

თოფაძე-მრეწველების პარტია (თუ ამ პარტიას პარტია ჰქვიაძ მოქალაქეებს ჰპირდებოდა, რომ გამოაცოცხლებდა გაჩერებულ და გაძარცვულ სამშენებლო კომპლექსს. ალბათ, მხედველობაში ჰქონდათ რკინა-ბეტონის ქარხნების აღდგენა-ამუშავება და ასაკრეფი კონსტრუქციებით სამოქალაქო და სამრეწველო ობიექტების მშენებლობა. მაგრამ ამ დაპირებას არ ერთვოდა თუნდაც ზერელე გათვლები, თუ რა დაჯდებოდა ასეთი წესით აშენებული სახლები და ვინ იქნებოდა მისი მყიდველები. ბატონ გოგი თოფაძეს, რომელსაც საზოგადოებაში დამსახურებულად დიდი ავტორიტეტი აქვს, არ ეკადრებოდა ასეთი საარჩევნო კამპანია და არც მისი თანამებრძოლის ბატონ ზურაბ ტყემალაძის ბინძური გარიგებები ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რაც ბევრ რაიონში განხორციელებულა.

ქრისტიან-დემოკრატები მოქალაქეებს ჰპირდებოდნენ გაზის, ელექტროენერგიის გაიაფებას, უფასო წყალს და ერთი სიტყვითაც არ ეხებოდნენ ნავთობპროდუქტების ყოვლად გაუმართლებელ მაღალ ფასს, რაც ხელისუფლების გაუმაძღრობით არის „დაკანონებული“. საწვავზე თუნდაც თავისუფალი კონკურენციით ჩამოყალიბებული ფასი უფრო მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას, მოქალაქეთა დასაქმებას, ვიდრე ადმინისტრაციული მოკვლევადიანი გაიაფებები.

ეროვნული საბჭოს მერობის კანდიდატი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ მათი ამოცანაა ადგილობრივი არჩევნების შემდეგ რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, ან სხვა გზით პრეზიდენტის გადაყენება, რასაც ქვეყნის ამომრჩევლებმა მხარი არ დაუჭირეს.

...და გაიმარჯვა პოლიტიკურმა ძალამ, რომელმაც ჩამოაყალიბა ავტორიტარული რეჟიმი, ქვეყანას თავზე დაატეხა რუსეთ-საქართველოს ომი, დაკარგა ტერიტორიები და მიიღო დამატებით ლტოლვილები. ეს პოლიტიკური ძალა ჰყიდის ყველაფერს, რაც იყიდება, უცხო ქვეყნების ინვესტორებზე, ჰყიდის მაღალკვალიფიციურ მუშებსა და ინჟინერტექნიკურ პერსონალს, აიძულებს რა მათ, ლუკმა-პურის საშოვნელად გადაიხვეწონ უცხო ქვეყნებში, გადაიქცნენ „გასტარბაიტერებლად“ და იქ გამომუშავებული ფული გამოუგზავნონ თავიანთ ოჯახის წევრებს, ნათესავებს და ამ გზით ხელი შეუწყონ ეროვნული ვალუტის სიმყარეს, დაიცვან ის გაუფასურებისგან.

ამ პოლიტიკურმა ძალამ გაიმარჯვა არჩევნებში დიდი უპირატესობით, რადგან 1988 წლიდან მოყოლებული, ქვეყანამ გამოიარა ჯოჯოხეთი (გაზვიადების გარეშე) და დღეს ჩვენს ამომრჩეველს, ბუნებრივია, ეშინია რაიმე ახალი, თუნდაც პროგრესული ცვლილებებისა.

და ენდო ჩვენი ამომრჩეველი ხელისუფლებაში მოკალათებულ გონებამოდიფიცირებულ და ზნეობამოდიფიცირებულ პოლიტიკოსებს, რადგან სხვა გზა ვერ დაინახა. უფრო მეტიც, ხელისუფლებასაც და ოპოზიციურ პარტიებსაც აფინანსებენ ქვეყნის მოქალაქენი, მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არ მოსწონთ მათ ისინი.

დარწმუნებული ვარ, ჩამოთვლილი ფაქტებიც საკმარისია იმისათვის, რომ თქვენ, მამაო საბა, ჩვენს მძიმე ხვედრზე დაფიქრდეთ.

**იქნებ გვამცნოთ, არის თუ არა გზა ხსნისა.**

**ნუგზარ კობახიძე**
„სრ“. კორ. ბოლნისი

ეკლესია



# პატრიარქმა დევნილ ბავშვებს უმასპინძლა

## მშვიდობიანი გზავნილი აფხაზ და ოს ბავშვებს

**საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული, სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები.**

**პატარებს უმასპინძლა ერის სულიერმა მამამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II.**

გაიმართა აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა ალმანახის „მე და მშვიდობა“ პრეზენტაცია, რომელიც ფონდის „მშვიდობა და ჰარმონია“ პროექტის „მე და მშვიდობა, არა — ძალადობას“ ფარგლებში განხორციელდა.

ეს ალმანახი არის აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის სამშვიდობო გზავნილი აფხაზი, ოსი და მსოფლიოს სხვა თანატოლებისადმი. ბავშვების მიმართვა ასე გახმიანდა: „...მივმართავთ აფხაზ, ოს და მსოფლიოში ყველა თანატოლს, საერთაშორისო საზოგადოებას, მშვიდობის განმტკიცების აუცილებლობის მოწოდებით დავიცვათ ჩვენი და სხვათა უფლებები. დავიცვათ მშვიდობა დედამიწაზე. ერთად დავდგეთ, გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობების ბედნიერი და მშვიდობიანი მომავალი... ჩვენი ძალისხმევა ერთობლივად წარვმართოთ ბავშვთა უფლებების დასაცავად, ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგ, საყოველთაო მშვიდობისთვის მთელ დედამიწაზე“.

პატრიარქმა დალოცა ბავშვები და სრულიად საქართველო: „...მე აფხაზეთელი ხალხი, ოსი ხალხი და სხვები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ჩემს სულიერ შვილებად მიმაჩნია. ჩვენ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ყველანი ერთად ვიყოთ და კარგად ვიყოთ. აფხაზეთი ჩვენი იმედია, ღმერთმა შეაერთა ჩვენი გზები. მტერი ოცნებობს, რომ დაგვაშოროს, მაგრამ ჩვენ აუცილებლად დავრჩებით ძმებად და მეგობრებად. დაგლოცოთ უფალმა. ჩვენთან არს ღმერთი!“

**თამთა ჭითანავა**



ინფორმაცია

# საბორნე მიმოსვლა ბათუმსა და კონსტანცაში

**რუმინეთის ხელისუფლება ბათუმსა და კონსტანცაში საბორნე მიმოსვლის დაწყების ინიციატივით გამოდის.**

**აღნიშნული ინიციატივა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუმინეთში ვიზიტის ფარგლებში ქვეყნის პრეზიდენტთან და პრემიერთან შეხვედრების დროს განიხილა. ასევე, ორი ქვეყნის პრეზიდენტმა ნატოში გაწევრების, გაყინული კონფლიქტებისა და ეკონომიკის საკითხები განიხილეს.**

**— მნიშვნელოვანია, რომ აზერბაიჯანმა, რუმინეთმა და საქართველომ მოახერხეს პრინციპული შეთანხმების მიღწევა საქართველოს ტერიტორიიდან გათხევადებული გაზის ტრანსპორტირების შესახებ. ახალი ტერმინალი აშენდება ფოთი-ყულევის ტერიტორიაზე, რაც გარდა დამატებითი სამუშაო ადგილებისა, ასევე, ევროპისთვის საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას ზრდის, — აღნიშნა სააკაშვილმა რუმინელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ.**



**ამასთან, სააკაშვილის განცხადებით, რუმინეთსა და მის ლიდერებს ევროპულ უსაფრთხოების საკითხებზე პრინციპული და ფუნდამენტური ხედვა აქვს, რომლის დასტურიც ახალი ენერგეტიკული პროექტია.**

**შეგახსენებთ, რომ „გათხევადებული ბუნებრივი გაზის და მისი ტრანსპორტირების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმი საქართველომ და რუმინეთმა 13 აპრილს ბუქარესტში გააფორმეს. მემორანდუმი ითვალისწინებს საქართველოში გაზის გამათხევადებელი, ხოლო რუმინეთში რეგაზიფიკაციის ტერმინალების მშენებლობას. პროექტის ღირებულება, წინასწარი გათვლებით, 4-6 მლრდ ევროს შეადგენს.**

**პროექტის თანახმად, საქართველოდან გათხევადებული გაზის რუმინეთში ტრანსპორტირება მოხდება. რუმინეთში გათხევადებული გაზი მიიღებს ისევ ბუნებრივი გაზის სახეს და შემდგომ ის განკუთვნილი იქნება ევროპული ქვეყნების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.**

ჯი-ეიჩ-ენი

ჯანდაცვა

***„100 ახალი საავადმყოფოს" პროექტის ჩავარდნის შემდეგ ხელისუფლებამ საზოგადოებას ჯანდაცვის სფეროს განვითარების ახალი გეგმა შესთავაზა. კერძოდ, როცა ხელისუფლება მიხვდა, რომ „ბლოკ-ჯორჯია" სახელმწიფოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს ვეღარ შეასრულებს და არათუ ასი, ერთი საავადმყოფოს აშენებასაც ვერ ახერხებს, მთავრობამ ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტში ჩართვა სადაზღვევო კომპანიებს შესთავაზა და ამ მიზნით ტენდერი გამოაცხადა. კონკურსის ფარგლებში საქართველო 26 ლოტად დაიყო და საავადმყოფოების რაოდენობაც თითოეული ლოტის მიხედვით განისაზღვრა. ტენდერში მონაწილეობა სულ 10-მა სადაზღვევო კომპანიამ მიიღო და ვაუჩერის ფასი 144 ლარით განისაზღვრა.***

***ტენდერის შედეგების თანახმად, თბილისის მასშტაბით მოსახლეობის დაზღვევის უფლება ბაზარზე რამდენიმე თვის წინათ გამოჩენილმა კომპანია „ალფამ" მოიპოვა, რისი საფუძველიც ყველაზე დაბალი ფასის — ერთ დაზღვეულზე 9.4 ლარის შეთავაზება გახდა. სამი წლის განმავლობაში „ალფა" შიდა ქართლისა და გურიის მოსახლეობას დააზღვევს, ხოლო კასპსა და ოზურგეთში კლინიკებსაც ააშენებს.***

***რაც შეეხება სხვა რეგიონებს, თბილისისგან განსხვავებით, იქ ვაუჩერის ყოველთვიური ფასი 11.2 ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, სამეგრელოს მოსახლეობის დაზღვევის უფლება კომპანია „ვესტმა" მიიღო, კახეთის ლოტი - „არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ", ქვემო ქართლის — „ირაომ", იმერეთის — „ალდაგი ბი სი აიმ", ხოლო სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის ლოტები „იმედი L"-მა და „ჯი პი აი ჰოლდინგმა" გადაინაწილეს.***

***„100 ახალი საავადმყოფოს" პროექტის ჩავარდნის ფაქტორის გამო საზოგადოება ამ ახალ პროექტსაც ეჭვის თვალით უყურებს. გაამართლებს თუ არა დაზღვევის ახალი პროგრამა? რამდენად შესაძლებელია წელიწადში 144 ლარად ხარისხიანი დაზღვევის მიღება? ხომ არ იზღუდება მოსახლეობის უფლებები, როცა ისინი იძულებულნი არიან, სამი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე სადაზღვევო კომპანიაში დაეზღვიონ, მიუხედავად იმისა, აკმაყოფილებთ თუ არა მომსახურება? — ამ და სხვა პრობლემურ საკითხებზე „პირველი" ექსპერტ ლევან კალანდაძეს ესაუბრა.***

# საზოგადოება ახალ პროექტსაც ეჭვის თვალით უყურებს,

## ანუ რამდენად შესაძლებელია წელიწადში 144 ლარად ხარისხიანი დაზღვევის მიღება?

**— ბატონო ლევან, თქვენი აზრით, რატომ ვერ შესძლო „ბლოკ-ჯორჯიამ" „100 ახალი საავადმყოფოს" პროექტის განხორციელება? რაში მდგომარეობდა ამ კუთხით ხელისუფლების შეცდომა და ხომ არ იყო ეს პროექტი თავიდანვე განწირული?**

— „100 ახალი საავადმყოფოს" პროექტი იმთავითვე მოუმზადებელი იყო. „100 ახალი საავადმყოფოს" ამუშავების საჭიროება მხოლოდ ხელისუფლების სურვილში გამოიხატებოდა. მთავრობამ პროექტის გარკვეული ეკონომიკურ-ტექნიკური დასაბუთება თავიდანვე არ წარმოადგინა. გარდა ამისა, „ბლოკ-ჯორჯიას" სახით პოტენციური ინვესტორი ძალიან ნაჩქარევად იქნა შერჩეული და თავად ამ პროექტის განმახორციელებელი გამარჯვებული კომპანიის გამოვლენის კრიტერიუმი იყო არასწორი. მხედველობაში მაქვს ის ფინანსური და საგარანტიო უზრუნველყოფა, რომელიც ამ კონკურსში მონაწილე კომპანიებს უნდა წარმოედგინათ. როცა ქვეყანაში ასეთი დიდი პროექტების განხორციელება იგეგმება, ტენდერი პირველ რიგში, არა განმახორციელებელი კომპანიის გამოსავლენად, არამედ თვითონ პროექტის შესამუშავებლად უნდა ტარდებოდეს. ჯერ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება იყო მოსამზადებელი, რომელშიც პროექტის თანმდევი ყველა ფინანსური ხარჯი ნაბიჯ-ნაბიჯ იქნებოდა გაწერილი, ჩვენს შემთხვევაში კი სახელმწიფოს პროექტი რეალურად არ ჰქონდა, ტენდერი ზეპირსიტყვიერად, კონკრეტულ 100 საავადმყოფოზე გამოაცხადა და ფატალური შედეგიც მივიღეთ: საქართველოს მოსახლეობას დაპირებული „100 ახალი საავადმყოფო" დღემდე არ აქვს.

**— მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ აღიარა, რომ „100 ახალი საავადმყოფოს" პროექტმა ვერ გაამართლა, მან პროექტში სადაზღვევო კომპანიები ჩართო. როგორ ფიქრობთ, რამდენად გამართლებულია „100 ახალი საავადმყოფოს" პროექტში სადაზღვევო კომპანიების ჩართვა?**

— სამწუხაროდ, ისევ ვიჩქარეთ. არაერთმა ექსპერტმა და მათ შორის მეც ამ საკითხთან დაკავშირებით შევეცადეთ, ხელისუფლებისთვის პრესის ფურცლებიდან მაინც მიგვეწოდებინა ჩვენი მოსაზრება. ეჭვი მეპარება, რომ ამ პროექტმა გაამართლოს და ამ ეჭვის საფუძველი ისევ და ისევ ტექნიკური დასაბუთების არქონაა. გათვლილი და გაწერილი არ არის ის რისკები, მათ შორის — არც ფინანსური თვალსაზრისით, რაც შეიძლება, ამ პროექტის განხორციელებას მოჰყვეს. ამდენად, საზოგადოებაში ეჭვი ჩნდება, რომ ხელისუფლებამ ახალი ინვესტორი ვერ იპოვა, რომელიც ასეთ დიდ და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან პროექტს განახორციელებდა, ამიტომ ვექტორი სადაზღვევო კომპანიებზე გადაამისამართა და რადგან სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროექტის ტენდერი იყო გამოცხადებული, ერთ-ერთ პირობად



სადაზღვევო კომპანიების გამარჯვებისთვის „100 ახალი საავადმყოფოს" პროექტში მონაწილეობა ჩადო.

თუმცა არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ვფიქრობ, ხელისუფლებას გამორჩა. ეს არის ინტერესთა კონფლიქტი თავად სადაზღვევო კომპანიების მიერ განხორციელებულ საქმიანობასა და ჰოსპიტალური სექტორის განვითარების საკითხებს შორის. მაგალითად წარმოვიდგინოთ კონკრეტული შემთხვევა: სადაზღვევო კომპანია, რომელიც სამედიცინო დაზღვევას ახორციელებს და ამავდროულად საავადმყოფოს ფლობს, მაქსიმალურადაა დაინტერესებული, მის მიერ დაზღვეული კლიენტის სამედიცინო მომსახურების ხარჯები მისსავე საავადმყოფოში მინიმალური იყოს. ამავდროულად ჩვენ სადაზღვევოებს ჰუმანიტარული და სოციალური პროგრამების განხორციელებას ვერ მოვთხოვთ, რადგან ისინი ჩვეულებრივი კერძო ორგანიზაციები არიან, რომელთა მთავარი ინტერესი მოგების მიღებაა. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანია მაქსიმალურად შეეცდება, საკუთარი კლიენტის სამედიცინო მომსახურებისთვის მაქსიმალურად ნაკლები დახარჯოს. ძალიან ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ჰოსპიტალური და სამედიცინო სფეროები ერთმანეთისგან მკვეთრადაა გამიჯნული და ერთსა და იმავე ოპერატორს ან მენეჯმენტის განმახორციელებელ კომპანიას არ შეუძლია, ერთდროულად სადაზღვევო სამედიცინო პროექტები გაყიდოს და ამავდროულად ჰოსპიტალური სექტორის განვითარების მენეჯმენტი განახორციელოს.

**— სახელმწიფომ სადაზღვევო ტენდერში ვაუჩერის ფასი 180-დან 144 ლარამდე შეამცირა. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია წელიწადში 144 ლარად ხარისხიანი დაზღვევის მიღება?**

— პროფესიით ფინანსისტი ვარ და ნებისმიერ საკითხზე დაუსაბუთებლად ვერ ვიმსჯელებ, რადგან ფინანსებს დათვლა სჭირდება, დღეს კი საქართველოში ვერავინ გეტყვით, რა ჯდება დაზღვევა, რომლის ინიციატორი სახელმწიფოა. თუმცა ვფიქრობ, საქმე იგივე — წინასწარი გაუთვლელობის პრობლემასთან გვაქვს: სახელმწიფომ პროდუქტის ღირებულება წინასწარ არ გათვალა და ვაუჩერის ფასის 180-დან 144 ლარამდე ჩამოყვანა გახდა საჭირო. გასულ წელს რატომ გადაახდევინეს მოსახლეობას 180 ლარი, ან წელს რატომ ახდევინებენ 144-ს და არა 90-ს? შესაძლოა, მეორე მიზეზიც იყოს: ხელისუფლებამ გადაწყვიტა, შარშანდელთან შედარებით, ეკონომია გაეკეთებინა და ფასიც ამიტომ შეამცირა. ასეა თუ ისე, ვეჭვობ, თვეში 12-ლარიანი სადაზღვევო პოლისით ვინმემ პროექტში დეკლარირებული სამედიცინო სერვისების ადეკვატური მომსახურების გაწევა შესძლოს. ჩემი აზრით, ეს ძალიან დაბალი ფასია. არ არის გამორიცხული, პროექტის განხორციელების პროცესში თანხები არასაკმარისი აღმოჩნდეს და გარკვეული სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, რაც სერიოზულ სოციალურ პრობლემებს გამოიწვევს.

**— პროექტის პირობების თანახმად, დაზღვეულებს სამი წლის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიების საკუთარი სურვილით არჩევა არ შეეძლებათ. როგორ ფიქრობთ, ხომ არ იზღუდება ამით მოქალაქეთა უფლებები?**

— რა თქმა უნდა, იზღუდება, მაგრამ აქ ორი საკითხი უნდა გავითვალისწინოთ: იმას, რომ ტენდერის პირობების თანახმად, საქართველოს ტერიტორია ლოტებად უნდა დაიყოს, ვეთანხმები, რადგან თვითონ დაზღვევის ტექნიკური განხორციელების თვალსაზრისით, ეს სწორი მიდგომაა, მაგრამ არის მეორე საკითხი — თუ რა უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს თავისუფალი არჩევანის შეზღუდვამ. სადაზღვევო კომპანიამ, რომელმაც იცის, რომ სამი წლის განმავლობაში მისი კლიენტი „ვერსად გაიქცევა", შესაძლებელია, ფასის შემცირებით გამოწვეული გარკვეული დისკომფორტი კლიენტისთვის მიწოდებული სადაზღვევო და სამედიცინო სერვისის ხარისხის შემცირების გზით აინაზღაუროს, ვინაიდან სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობა კონტროლდება, მაგრამ არა ის, თუ რამდენად სრულყოფილად უწევს სადაზღვევო კომპანია კონკრეტულ კლიენტს მომსახურებას და რამდენად სრულად აწვდის მის მიერ შეპირებულ მომსახურებას. თუ დამზღვევს ეცოდინებოდა, რომ ხარისხის გაუარესების შემთხვევაში მისი კლიენტი სხვა კომპანიაში გადავიდოდა, ის მაქსიმალურად შეეცდებოდა, ხარისხი არ გაეფუჭებინა და კლიენტისთვის სრულფასოვანი მომსახურება გაეწია, დღეს კი სადაზღვევო კომპანიები უპირატეს მდგომარეობაში არიან, რადგან იციან, რომ კლიენტები ვერსად გაიქცევიან. სამწუხაროდ, სატენდერო პირობებში ეს მექანიზმი ტექნიკური თვალსაზრისით გათვალისწინებული არ იყო. ლოტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუქმდება, თუ ხელისუფლებას მომჩივანთა ძალიან დიდი რაოდენობა მიმართავს. ვფიქრობ, რომ ესეც მხოლოდ დეკლარირებულია და ამ პირობის ტექნიკურად განხორციელება შეუძლებელია, რადგან საქართველოში ერთი სადაზღვევოდან მეორეში გადაცემის პრაქტიკა ჯერჯერობით არ გვაქვს.

**— რა უნდა გააკეთოს მთავრობამ ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების რეალური მოგვარებისთვის?**

— ეს კომპლექსური საკითხია. მისასალმებელია, რომ ხელისუფლებამ ჯანდაცვის სფერო სადაზღვევო რელსებზე გადაიყვანა. მაგრამ ეს მიმდინარე რეფორმების წარმატებულობისთვის აუცილებელი, თუმცა არა ძირითადი, ფაქტორია. საჭიროა ბევრი სხვადასხვა კომპონენტის ერთობლივად განხორციელება, გარკვეული კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რათა მთლიანად სამედიცინო სფეროში მდგომარეობა გამოსწორდეს. უპირველეს ყოვლისა, ინფრასტრუქტურის მოშლასთან დაკავშირებული პრობლემებია მოსაგვარებელი, რადგან ძველი მოიშალა, ახალს კი არ ვაშენებთ. ალბათ, გახსოვთ, ხელისუფლების მიერ ორი წლის წინათ ინიცირებული ე. წ. „5-ლარიანი დაზღვევის" პროექტი, რომელიც პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო დაზღვევის სისტემაზე გადაყვანას ითვალისწინებდა. ეს პროგრამაც მოუმზადებელი იყო და ჩაფლავდა. პარალელურად თავშივე გაუქმებული დაგვხვდა პირველადი ჯანდაცვა. რაღაც ცაიტნოტური, ბუფერული ზონები აღმოგვაჩნდა — ძველი სისტემა დანგრეულია, ახალი — შეუქმნელი, საზოგადოება კი იმ ადეკვატურ სერვისებს ვერ იღებს, რასაც რეალურად საჭიროებს. ამრიგად, **ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად ლოკალური ხანძრების ჩაქრობა არასაკმარისია და აუცილებელია, მთავრობამ კომპლექსური, სისტემური მიდგომა განახორციელოს.**

**თელარა გელანტია**



ინფორმაცია

# „თიბისი" ბანკმა „ელიტ ელექტრონიქსი" მიიტაცა

**საგანგაშოა, რომ „თიბისი ბანკი" სურვილების ასრულებას პარტნიორების ქონების დატაცებით იწყებს", — ასეთ შეფასებას აძლევს „ელიტ ელექტრონიქსის„ ყოფილი მმართველი და დამფუძნებელი ანზორ ქოქოლაძე „თიბისი ბანკის" მიერ „ელიტ ელექტრონიქსის" 55%-იანი წილის 116 ათას ლარად შეძენის ფაქტს. ქოქოლაძემ ეს განცხადება სასტუმრო „თბილისი-მარიოტში" გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.**

**მისი განცხადებით, „თიბისი ბანკმა" 5,5 მილიონ აშშ დოლარად დაგირავებული „ელიტ ელექტრონიქსის" 55%-იანი წილი არაკეთილსინდისიერად, თითქმის უფასოდ 116 ათას ლარად ოფიციალურად გადაიფორმა.**

**ქოქოლაძისვე თქმით, მისი პროგნოზი „თიბისის" მიერ კომპანიის წილის მითვისების თაობაზე გამართლდა. ამიტომ ის საქართველოში მოღვაწე ყველა ბიზნესმენს აფრთხილებს, რომ „თიბისი ბანკი" არასაიმედო პარტნიორია და საკუთარ სურვილებს პარტნიორების ქონების დატაცებით ისრულებს.**

**ქოქოლაძისვე განცხადებით, მისი 14-წლიანი მმართველობის დროს „ელიტ ელექტრონიქსს" ბანკებთან დადებული საკრედიტო ხელშეკრულებები არასოდეს დაურღვევია. ამ უკანასკნელმა კრედიტის პირობები მხოლოდ „თიბისი ბანკის" მიერ მენეჯმენტის საკუთარი თანამშრომლებით ჩანაცვლებიდან 20 დღის შემდეგ, ახალმა მენეჯმენტმა შეგნებულად დაარღვია.**

**მისივე განცხადებით, აღნიშნული არაკეთილსინდისიერი ქმედება „თიბისი ბანკმა" მისი შვილობილი კომპანიის, „თიბისი ბროკერის" მეშვეობით განახორციელა, რომელმაც „ელიტ ელექტრონიქსის" აქციათა 55% — 116 358,55 ლარად შეაფასა.**

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა



**არჩევნების შემდეგ „ალიანსი საქართველოსთვის“ და ქრისტიან-დემოკრატების განცხადებებიდან გამომდინარე რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი 30 მაისის არჩევნების შედეგებით კმაყოფილი დარჩნენ, მათ არც ხელისუფლების მაღალი პროცენტები გაუპროტესტებიათ და არც არჩევნების სამართლიანობაში შეუტანიათ ეჭვი. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩატარებულ სამ არჩევნებზე გამოიკვეთა ასეთი ტენდენცია: ხელისუფლება დაახლოებით ერთსა და იმავე პროცენტებს იღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ეს შედეგები რეალურია, მათი რეიტინგი არც იზრდება და არც იკლებს.**

**რატომ მიიღო ასე მშვიდად არჩევნების შედეგები ოპოზიციამ და რა არის ხელისუფლების მყარი რეიტინგის მიზეზი? ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ექსპერტ მამუკა არეშიძეს ესაუბრა.**

# ხელისუფლება 50-65 პროცენტის დაწერით დემოკრატობანას თამაშობს

**— თითქმის ყველა არჩევნებზე ხელისუფლება დაახლოებით ერთსა და იმავე პროცენტებს იღებს. ამას როგორ ახსნით?**

— ეს ციფრები ჩემთვის მაინც ხელოვნურია, რადგან პრაქტიკულად, ის ციფრებია, რომელიც რუსული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში ვანო მერაბიშვილმა დაასახელა. მეორეც, ცნობილია ხელისუფლების ტექნოლოგიები, რომელსაც არჩევნების მოსაგებად იყენებს. იმდენად ფლობენ სიტუაციას, რომ ნებისმიერი პროცენტის დაწერა შეუძლიათ. 55-65-მდე პროცენტი მათთვის მისაღებია, რადგან ეს ციფრები დემოკრატიულ შედეგად ითვლება. შევარდნაძის დროს 90 პროცენტს იღებდნენ ხოლმე, მათაც შეუძლიათ ამდენის დაწერა, მაგრამ არადემოკრატიულად შეფასდება, რაც მათ ხელს არ აძლევთ.

ჩემთვის ეს შედეგები გასაკვირი არ ყოფილა იქიდან გამომდინარე, რომ წინასწარ ვიცოდი, რომ ხმების განსაზღვრული რაოდენობა ხელისუფლებისკენ წავიდოდა. ეს ხმები საზღვარგარეთ წასული ადამიანებისა იყო. ამასთან, ხელისუფლებამ ძალიან კარგად იმუშავა თავისი ამომრჩევლის მობილიზებისთვის. ოპოზიციაზე ბევრად ორგანიზებული იყო. მესამე: ეს შედეგები გამოიწვია ოპოზიციის უხეშმა შეცდომებმა, რამაც განაპირობა ხალხის გულგრილობა არჩევნებისადმი და საერთოდ, პოლიტიკური პროცესებისადმი. ეს ხალხი არჩევნებზე აღარ მოვიდა.

**— რატომღაც „ალიანსი საქართველოსთვის“, ასევე ქრისტიან-დემოკრატები არჩევნების შედეგებით კმაყოფილები არიან და მიღებული პროცენტები არ გაუპროტესტებიათ, არც ის უთქვამთ, რომ არჩევნები გაყალბდა ან მათ ვინმემ ხმები მოპარა. ამ ფაქტს როგორ ახსნით? მათთვის მისაღები იყო ეს შედეგები?**

— მათ რეაქციას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ქრისტიან-დემოკრატების ასეთი პოზიცია ბევრისთვის გასაგებია. მე არ მინდა ამაზე ყურადღება გავამახვილო, რადგან ყველამ კარგად იცის, რაზეც არის ლაპარაკი. რაც შეეხება „ალიანსის“ ასეთ პოზიციას, სოზარ სუბარის სიტყვებს გავიმეორებ: როგორც ჩანს, „ალიანსი“ უფრო მეტად იყო ორიენტირებული მეორე ადგილის აღებაზე, ვიდრე გამარჯვებაზე. საქმე ის არის, რომ „ალიანსი“, პრაქტიკულად, მხოლოდ თბილისში მუშაობდა. რეგიონებში მათი აქტივობა ძალიან დაბალი იყო. ორიენტირი მაინც იმაზე იყო აღებული, რომ საკრებულოში შესულიყვნენ და ბრძოლა იქიდან დაეწყოთ. ისინი მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის უფრო ემზადებიან და საკრებულო მათთვის კარგი არენაა. მათ იცოდნენ, რომ ხელისუფლებას მაინც ვერ მოუგებდნენ და ამიტომ მეორე ადგილზე იყვნენ ორიენტირებული. მათი მშვიდი რეაქციაც აქედან გამომდინარეობს. უნდა აღვნიშნო, რომ თინა ხიდაშელის, ინგა გრიგოლიას და კუკავას საკრებულოში ყოფნა უდრის სხვა 30 ადამიანის ყოფნას.

**— ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ოპოზიცია ამ არჩევნებით, გარკვეულწილად, მაინც მოგებული დარჩა?**

— ამომრჩევლისთვის ხმის გაგონების თვალსაზრისით, ოპოზიციისთვის საკრებულოში ყოფნა ბევრად უფრო მომგებიანია. ეს საკრებულო მერიის კონტროლის თვალსაზრისით, ბევრად აქტიური იქნება და ამით ოპოზიცია გარკვეულ ქულებსაც დაიწერს.

**— როდესაც წინასწარი შედეგები გახდა ცნობილი, გიგი უგულავამ ოპონენტებს მათი სოციალური პროგრამების განხორციელებაში თანამშრომლობა შესთავაზა. რამდენად გულწრფელი იყო უგულავას ეს შეთავაზება და რამდენად ხელს აძლევს მას ოპონენტების პროგრამების განხორციელება?**

— ხელისუფლება არასოდეს წავა იმაზე, რომ ტარიფებთან დაკავშირებით გია ჭანტურიას პროექტის გარკვეული ნაწილი მაინც იყოს რეალიზებული.

**— მაგრამ ტარიფების დაწევის პროგრამით ხომ შეეძლო ხელისუფლებას თვითონც დაეწერა ქულები?**

— ტარიფები რომ დაწიონ, იმ ფულს ვეღარ იშოვიან, რომელიც ბიუჯეტის შესავსებად და არჩევნების მოსაგებად სჭირდებათ ხოლმე. თუმცა, ჩემი პროგნოზით, უგულავა მაქსიმალურად შეეცდება ოპოზიციონერებთან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებული ურთიერთობები დაამყაროს, რომ იყოს სახალხო ლიდერი. თბილისის დონეზე მაინც. უგულავა საკმოდ ჭკვიანია და კარგად იცის, რომ მოსახლეობაში ოპოზიციური მუხტი მაღალია. ხალხის ის ნაწილი, რომელიც არჩევნებზე არ მოვიდა, ოპოზიციის მხარდამჭერი თუ არა, საპროტესტო ელექტორატია. აქედან გამომდინარე, მათი გულის მოსაგებად ოპოზიციასთან თანამშრომლობას ეცდება. რა გამოუვა, ეს უკვე რთული სათქმელია.

**— ტარიფების გარდა, სხვა პარტიებს ჰქონდათ სოციალური პროგრამები, იგივე 100-პროცენტიანი დაზღვევა, უფასო სასკოლო სახელმძღვანელოები, მცირე და საოჯახო ბიზნესისთვის კრედიტების გამოყოფა და ა.შ. აი, ასეთი ტიპის პროგრამებს თუ მაინც განახორციელებს სახელისუფლებო პარტია, მიუხედავად იმისა, ის პარტიები თანამშრომლობაზე დათანხმდებიან თუ არა.**

— შეიძლება განახორციელოს, რადგან ხშირად ხელისუფლებას ოპოზიციიდან ამოსული იდეა სათავისოდ გამოუყენებია. ამ შემთხვევაშიც შესაძლოა, ასე მოხდეს.

რეფორმა

# სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება — ახალი პრიორიტეტი განათლებაში



**ყველაზე მუხლჩაუხრელად ჩვენს მინისტრებს შორის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი შრომობს. ამ თანამდებობაზე მისი დანიშვნის შემდეგ დღე ისე არ გავა, რომ განათლების სფეროში რაიმე ახალი ცვლილებების შესახებ არ გვაუწყონ.** კარგია თუ ცუდი ესა თუ ის ინიციატივა, ამაზე აზრის გამოთქმა წყლის ნაყვას ჰგავს. ასე უნდათ და ასე იქნება. თუ რაღაც შეცდომა გაიპარა, ხუთი წლის შემდეგ მის გამოსწორებას რა უნდა! მთავარი პრეტენზია, რასაც ამ გაუთავებელი რეფორმებისას ვაწყდებით, სწორედ საზოგადოების, ხალხის აზრის გაუთვალისწინებლობაა, რომლებიც სულაც არ არიან იმგვარად განწყობილი, რომ აუცილებლად ყველაფერი დაიწუნონ. უბრალოდ, მათაც სურთ, რომ რაც კეთდება (თუ რამე კეთდება), ნაწილობრივ მაინც ითვალისწინებდეს საერთო ინტერესებს.

რადგან ისევ განათლებაზე ვსაუბრობ (ალბათ, კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს, იმიტომ რომ არავინ იცის, ხვალ რა ინოვაციას შემოგვთავაზებენ), და რადგან ახალ რეფორმაში პრიორიტეტი სკოლას და მოსწავლეებს ენიჭებათ, კვლავ მათზე მოგითხრობთ.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი თამარ ბელქანია თბილისის კერძო სკოლას „ცისკარს“ ეწვივნენ და სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების გაკვეთილს დაესწრნენ. ამ სკოლის მოსწავლეები ქართული ჯარის ისტორიას სწავლობენ, ეცნობიან ქართული არმიის შეიარაღებას, საგზაო უსაფრთხოების წესებსა და სამოქალაქო თავდაცვის საშუალებებს. მოსწავლეებს, ასევე ასწავლიან პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

ახალი სასწავლო კურსის დანერგვისთვის ამ სკოლის შესაბამისი კაბინეტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საჭირო ტექნიკით აღჭურვა.

პროგრამა პილოტირებას პირველ ეტაპზე რუსთავის, მცხეთისა და თბილისის 15 სკოლაში გადის. ანალოგიური კაბინეტი მცხეთის მე-2 საჯაროს სკოლაში დიმიტრი შაშკინმა თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიასთან ერთად გახსნა. პილოტირების შედეგების ანალიზის შედეგად, სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების კურსი საბოლოო სახით ჩამოყალიბდა და ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში სავალდებულო საგანი გახდება.

საქართველოს პრეზიდენტის ინიცირებული ახალი სასწავლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების წარმომადგენლები, ასევე — უცხოელი ექსპერტები.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, იმ ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც რეალური საფრთხეების წინაშე დგას, ძალზე მნიშვნელოვანია სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების კურსის სწავლა, აუცილებელია, რომ მოზარდები თავდაცვის ელემენტარულ უნარ-ჩვევებს ფლობდნენ.

დანარჩენი თავად განსაჯეთ!

**ანა წიწილაშვილი**

ინფორმაცია

# დავეხმაროთ „სიცილის დედოფალს“

**აშშ-ს ერთ-ერთ საავადმყოფოში მოთავსებული საქართველოს „სიცილის დედოფლის“ მზია კვირიკაშვილის დასახმარებლად საქართველოს ბანკში ანგარიშია გახსნილი.**

— ყველასათვის საყვარელი ქართველი მსახიობის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმეა. მან აშშ-ში გასტროლებისას ცუდად იგრძნო თავი, რის შემდეგაც საავადმყოფოში მოათავსეს, — განაცხადა მსახიობმა ნინელი ჭანკვეტაძემ.



როგორც ჭანკვეტაძე აცხადებს, აშშ-დან მიღებული ინფორმაციით, კვირიკაშვილს ფილტვის სიმსივნე აღმოაჩნდა, მდგომარეობა თრომბის გასკდომამაც დაამძიმა.

— მოგეხსენებათ აშშ-ში ჩვენი ემიგრანტები არც თუ სახარბიელოდ ცხოვრობენ, მკურნალობა კი მნიშვნელოვან სახსრებს უკავშირდება. ამიტომაც სიღარიბის დაძლევისა და გადაუდებელ დახმარებათა ფონდი, ქველმოქმედთა სახლი „მომავლის გზა“, რომლის წევრებიც ყველასთვის საყვარელი და პატივსაცემი ადამიანები — კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, ირმა სოხაძე, მამუკა ლომაშვილი, მარინა ჯანაშია, ჯემალ ღაღანიძე, გურამ საღარაძე, დავით კინწურაშვილი და სხვები არიან, მივმართავთ ჩვენს თანამოქალაქეებს — დავეხმაროთ ქალბატონ მზიას, — განაცხადა ნინელი ჭანკვეტაძემ.

მისი თქმით, მზია კვირიკაშვილი ამერიკაში მყოფი რამდენიმე ქართველი ემიგრანტის იმედად არის დარჩენილი, ისინი კი დახმარებას საქართველოდან ითხოვენ, რადგან მდგომარეობა სავალალოა.

როგორც ჭანკვეტაძემ განაცხადა, თუ კვირიკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაძლებელს გახდის, სავარაუდოდ, მას თბილისში გადმოიყვანენ.

გაცნობებთ მზია კვირიკაშვილის დასახმარებლად გახსნილი ანგარიშის ნომერს:

საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი; კოდი — 220101502; ანგარიშის № 149043300

# „ალიანსი“ ცხელ გულზე დატოვეს

**ექსპერტ ირაკლი სესიაშვილის შეფასებით, „ალიანსი საქართველოს“ დატოვების შესახებ გადაწყვეტილება კოკა გუნცაძემ და სოზარ სუბარმა ცხელ გულზე მიიღეს.**

— არჩევნების დასრულებიდან მომავალ არჩევნებამდე ძალიან ბევრი რამ შეიცვლება. ჯერ კიდევ არ გამოვსულვართ საარჩევნო ციებცხელებიდან, რის გამოც პოლიტიკურ პროცესებს იმ განწყობით ვაყენებთ, ამიტომ მოგვხდა თვალში სუბარის და გუნცაძის ალიანსიდან წასვლა. მომავალ არჩევნებამდე კი არავინ არ იცის, შეიძლება ეს ადამიანები ამ ან სხვა ტიპის ალიანსში კვლავ ერთად აღმოჩნდნენ. ასე რომ, ის, რაც მოხდა, ცხელ გულზე მიღებული გადაწყვეტილება იყო, შეიძლებოდა ეს ერთი თვის შემდეგ მომხდარიყო. თუმცა, ყველა თავის პოლიტიკურ რეიტინგს უყურებს და ჩქარობს, რომ ქულები არ დაკარგოს, ამაში კატასტროფული არაფერია, — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

მისივე შეფასებით, ჯერ კიდევ ადრეა ფართომასშტაბიანი პოლიტიკური პროცესების დაწყებაზე საუბარი და ამის გათვალისწინებით, ვინ საიდან წავა, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

შეგახსენებთ, რომ 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ „ალიანსი საქართველოსთვის“ უკვე ორმა წევრმა სოზარ სუბარმა და კოკა გუნცაძემ დატოვა.

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ბუქარესტი თანახმა არ არის

**თავისი ანტირუსული განწყობილებით რუმინეთის ცნობილმა ლიდერმა ტრაიან ბესესკუმ გააკრიტიკა მოსკოვის წინადადება საერთოევროპული უშიშროების შეთანხმების ხელმოწერის შესახებ. თავის ქართველ კოლეგასთან მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრაზე მან განაცხადა, რომ ნატოს და ეუთოს უკვე შეუძლიათ გადაჭრან ყველა პრობლემა ამ სფეროში, მათ არ სჭირდებათ კონკურენცია. გაცილებით დიდ ყურადღებას, ორი პრეზიდენტის აზრით, იმსახურებს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეავიწროონ რუსეთი ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე**



რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბესესკუ ქვეყანაში საქართველოს ლიდერის მიხეილ სააკაშვილის ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით გამოვიდა კრიტიკის მორიგი ულუფით რუსეთის მისამართით.

ამჯერად სახელმწიფოს მეთაურის უკმაყოფილება გამოიწვია მოსკოვის გეგმამ, წინ წასწიოს თავისი წინადადება საერთო-ევროპული უშიშროების შეთანხმების შექმნის შესახებ. ადრე ზოგიერთი ევროპული ქვეყანა დადებითად აფასებდა დიმიტრი მედვედევის ინიციატივას, მაგრამ ევროპული უშიშროების ახალი არქიტექტურის წინააღმდეგ კატეგორიულად გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატები.

„ჩვენ ევროპის უშიშროებისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებას ვხედავთ იმაში, რომ განვამტკიცოთ უკვე არსებული სტრუქტურები, იმის ნაცვლად, რომ დავდოთ ახალი ხელშეკრულებანი“, – განაცხადა თავის გამოსვლაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა.

ბუქარესტი, როგორც ეს ბესესკუს სიტყვებიდან ჩანს, მთლიანად სოლიდარულია ასეთ პოზიციასთან, მით უმეტეს, რომ ეს სასიამოვნოა ოფიციალური თბილისისთვისაც.

„მე მივაწოდე ბატონ სააკაშვილს ინფორმაცია, რომ რუმინეთი მხარს არ უჭერს შეთანხმებას ევროუშიშროების შესახებ, რომელიც პრეზიდენტმა მედვედევმა წამოაყენა. მიგვაჩნია, რომ უკვე არსებობს მექანიზმები, რომლებსაც შეუძლიათ გადაჭრან ეს პრობლემები, უწინარეს ყოვლისა, ესენია ეუთო და ნატო, და შეუძლებელია ამ საერთაშორისო სტრუქტურების თავზე დავაყენოთ მოსკოვის მიერ წამოყენებული წინადადება. უკვე არსებობენ სტრუქტურები, რომლებსაც შეუძლიათ განიხილონ ევროპის უშიშროება“, – მისი სიტყვების ასეთ ციტირებას ახდენს „რია ნოვოსტი“.

ნატოს და ეუთოს წარმატებათა მიუხედავად, რუმინეთმა მაინც გადაწყვიტა კერძო წესით, მოითხოვოს რუსეთისგან ჯარების გამოყვანა „საქართველოდან“. ამავე დროს ბესესკუმ საჭიროდ მიიჩნია განეცხადებინა, რომ მოსკოვის გადაწყვეტილებას სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ არაფერი აქვს საერთო ანალოგიურ სიტუაციასთან კოსოვოში, მაშასადამე, „ქართული მიწები დეოკუპირებული უნდა იყოს“.

ხმამაღალი განცხადებების გარდა ორმა პრეზიდენტმა განიხილა კონკრეტული ანტირუსული ნაბიჯებიც. კერძოდ, საკითხი შეეხებოდა საქართველო-რუმინეთ-აზერბაიჯანის პროექტის რეალიზაციას თხევადი ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების შესახებ კასპიის რეგიონიდან ევროპაში.

„დღემდე ენერგორესურსების ტრანსპორტირებას აწარმოებდნენ მხოლოდ დიდი მოთამაშეები. მაგრამ ევროპას სჭირდება დივერსიფიკაცია. დიდი მონაწილეების გარდა არის სხვა მარშრუტებიც. მომავალი უფრო მოქნილ სატრანსპორტო გზებს ეკუთვნის, აი, რატომაა ასეთი მნიშვნელოვანი თხევადი ბუნებრივი გაზი ჩვენთვის“, – განაცხადა სააკაშვილმა.

მემორანდუმს ორ სახელმწიფოს შორის გაზსადენის მშენებლობის შესახებ ხელი მოეწერა მიმდინარე წლის აპრილში. პირველი გაზი, როგორც ელოდებიან, დაიწყებს შემოსვლას მილსადენით უკვე ამ ზაფხულს.

„ეს ნიშნავს, რომ „აგრი“ მუშაობას დაიწყებს „ნაბუკოზე“ ადრე, სხვა მარშრუტებზე ადრე“, – ხაზგასმით აღნიშნა სააკაშვილმა.

**ოლეგ გრიცენკო**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# თბილისის დაახლოება ირანთან ვაშინგტონის თვალყურის დევნებაზე გადის

**რეგიონში ისეთ გიგანტებთან, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი, ურთიერთობის მრავალი წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც ეტყობა, განიზრახა ამ რეგიონალურ გეოპოლიტიკურ თამაშში ჩართოს ახალი მონაწილე – ირანი**

მაისის შუა რიცხვებში საქართველოს და ირანის თანამდებობის პირებმა გამოაცხადეს ინიციატივების მთელი პაკეტის შესახებ. გარდა ირანელი მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებისა, ვისაც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა უნდოდა, თეირანიდან შემოვიდა წინადადება, დააბანდოს სახსრები ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ელექტროენერგეტიკის იმპორტში. თბილისს სურს მოაწესრიგოს ირანთან თანამშრომლობა ქარის ენერგიის დარგში. ამჟამად ეს წინადადებანი განიხილება საქართველოს მთავრობაში, პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურთან. ამას გარდა, თბილისმა საქართველოში ვიზიტად მოიწვია ვაშინგტონის აშკარა მტერი, ირანის პრეზიდენტი მახმუდ ახმადინეჯადი. ივნისში საქართველოში ვიზიტით შეიძლება ჩამოვიდეს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მანუჩეხრ მოტაკი ახალი თანამშრომლობის დეტალების დასამუშავებლად.

ერთი შეხედვით, თბილისის განზრახვანი, რომლებიც დეკლარირებული იქნა საერთაშორისო დაძაბულობის პერიოდში ირანის სკანდალური ბირთვული პროგრამის გამო, შეიძლება დასავლელი მიმომხილველებისთვის მოულოდნელი აღმოჩენილიყო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციამ დიდი ხანია, მყარად აირჩია პროამერიკული კურსი.

საქართველოს ხელისუფლება დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ მას აინტერესებს მხოლოდ სავაჭრო კავშირურთიერთობათა გაფართოება და არავითარ სხვა ღონისძიებებს არ ისახავს დიპლომატიურ სფეროში. ირანთან კავშირურთიერთობათა გაღრმავება „არ ეწინააღმდეგება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებს, რომლებიც ითვალისწინებენ ჩართვას ევროსაბჭოს ინტეგრაციაში, სავიზო რეჟიმის (ევროკავშირთანძ გამარტივებას და ნატოში შესვლას“, – განაცხადა 24 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ.

კალანდაძემ აგრეთვე აღნიშნა, რომ სანამ ამგვარი ინიციატივით გამოვიდოდა, თბილისი კონსულტაციას აწარმოებდა ვაშინგტონთან. „ჩვენ გვყავს სტრატეგიული პარტნიორები, როგორიცაა, მაგალითად, შეერთებული შტატები, – აღნიშნა მან. – ჩვენ გვაქვს მასთან მუდმივი დიალოგი... არ ვფიქრობთ, რომ ეს შექმნის რაიმე პრობლემას საქართველო-ამერიკის ურთიერთობებში“.

როგორც ერთმა დასავლელმა დიპლომატმა დაგვიდასტურა, ასეთ დიალოგს მართლაც აქვს ადგილი. თუმცა, ბოლომდე ნათელი ჯერ კიდევ არ არის საკითხი, დაუჭირა თუ არა მხარი ვაშინგტონმა საქართველოს ინიციატივას მთლიანად. დასავლელმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ ამერიკის ხელისუფლება ურჩევდა თბილისს მხედველობიდან არ გაუშვას „უფრო ფართო პერსპექტივები“ თავის კავშირებში ირანთან და მთელი ყურადღება არ გაამახვილოს მხოლოდ იმაზე, რომ თეირანს შეუძლია მისცეს საქართველოს ბევრი რამ ვაჭრობისა და ტურიზმის განვითარების სფეროში.

როდესაც უპასუხებდა შეკითხვებს საქართველო-ირანის ინიციატივების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალური წარმომადგენელი კარენ რობლი უფრო თავშეკავებული იყო. მან აღნიშნა, რომ „საკითხები, რომლებიც შეეხება სავიზო რეჟიმს, პრეროგატიულია საქართველოსთვის“. ამასთან ერთად ქალბატონმა დაუმატა, რომ სიტუაცია ადამიანის უფლებების დაცვის დარგში და ირანის ბირთვული პროგრამა ძველებურად ღრმად აშფოთებს ვაშინგტონს.

ერთ-ერთი ცნობილი ქართველი საგარეო-პოლიტიკური ანალიტიკოსის სიტყვებით, თბილისმა, რომელმაც კარგად იცის ვაშინგტონის პრიორიტეტები, მაინც ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს, რათა გადარჩეს გეოპოლიტიკურ „ბერმუდის სამკუთხედში“, რომელსაც შეადგენენ რუსეთი, შეერთებული შტატები და ირანი.

ირანის უპირატესობა სხვა ეკონომიკურ მოთამაშეებთან შედარებით არის სამი მომენტი: ეს არის ადგილმდებარეობა, ადგილმდებარეობა და კიდევ ერთხელ ადგილმდებარეობა. ირანის წვლილი ქართული იმპორტის კალათაში ამჟამად საკმაოდ მწირია, თუმცა ირანის საქონლის შემოტანა წლითიწლობით იზრდება. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, 2008 წელს ირანიდან შემოტანილი საქონლის მოცულობა შეადგენდა საქართველოს იმპორტის მთელი მოცულობის მხოლოდ 0,8 პროცენტს საერთო თანხით 6,3 მილიარდი დოლარი. საქართველოში სულ უფრო აქტიურად ყიდულობენ ირანის ნედლეულს, ავეჯს, საყოფაცხოვრებო ტექნიკას, სარეცხ საშუალებებსა და ზოგიერთ ავტომობილსაც კი.

ქვეყნებს შორის ისტორიული კავშირურთიერთობანიც ასრულებენ თავიანთ როლს. მეოთხე საუკუნიდან დაწყებული, დროის გარკვეული მონაკვეთების მანძილზე საქართველო მთლიანად ან ნაწილობრივ იმყოფებოდა სპარსეთის კონტროლის ქვეშ. სპარსელთა შემოსევებისგან თავის დაცვის მიზნით საქართველომ მიმართა რუსეთს, შედეგად 1801 წელს შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (სტატიაში ასეა მითითებული – მთ.ქ.

ცხადია, კულტურული ურთიერთობანიც ქვეყნებს შორის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის, აღმოსავლეთმცოდნე გიორგი ლობჟანიძის სიტყვებით, ქართულ ენაზე თარგმნილია ძალიან ბევრი სპარსული ლიტერატურის ძეგლი.

არის აგრეთვე გარკვეული ნიშნები იმისა, რომ ირანის ინტერესები თბილისთან ურთიერთობაში სცილდება სავაჭრო-კულტურულ გაცვლათა ფარგლებს. უკანასკნელ ხანებში თეირანი აქტიურად ცდილობს გააფართოოს თავისი გავლენა რეგიონში, აგრეთვე ეძებს ახალი სავაჭრო კავშირების დამყარების გზებს, სანამ გაერო ამუშავებს საკითხს ეკონომიკური სანქციების გამკაცრების შესახებ ამ ქვეყანასთან დაკავშირებით.

ირანის დიპლომატიური საქმიანობა კავკასიაში არავითარ შემთხვევაში არ შემოიფარგლება საქართველოთი. უფრო ადრე ირანმა უკვე გააუქმა სავიზო რეჟიმი აზერბაიჯანთან, ის ავითარებს საკვანძო პროექტებს ენერგეტიკული უშიშროების დარგში სომხეთთან და განზრახული აქვს ააშენოს სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც ირანს დააკავშირებს ორივე ამ ქვეყანასთან. ირანელებმა აგრეთვე შესთავაზეს თავიანთი შუამავლობა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მთიანი ყარაბაღის 22-წლიანი კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში.

ამჟამად, როდესაც ცხელი კავშირურთიერთობანი ვაშინგტონსა და თბილისს შორის იძენს პრაგმატულ ხასიათს, რუსეთთან კი ყალიბდება ეს ურთიერთობანი მეტად ცუდად, ირანის ხელისუფლებას შეუძლია თავისთვის განიხილოს გავლენის გაფართოების შესაძლებლობა საქართველოზე.

ქართველი ანალიტიკოსები, კერძოდ, რონდელი ვარაუდობს, რომ ვაშინგტონი თუმცა დიდი სურვილით არა, მაგრამ დათანხმდება კავშირების გაღრმავებას თბილისსა და თეირანს შორის. „ვაშინგტონი შეიძლება არ იყოს აღფრთოვანებული ირანით, მაგრამ ამერიკელებს პრაგმატულ დონეზე ესმით, რომ საქართველოს სჭირდება კარგი ურთიერთობანი თავის მეზობლებთან, – აღნიშნავს რონდელი. – ირანი ჩვენი მეზობელია, გეოგრაფია კი ჯერ არავის გაუუქმებია“.

EURASIANET

## დედამიწის ზურგზე




**„ფრიდომ ჰაუზმა“ კვლავ ჩართო რუსეთი „არათავისუფალი“ ქვეყნების სიაში**

ამავე დროს რუსეთი ცუდი ქვეყნების ათეულში არ შესულა. მოქალაქეთა თავისუფლების მთავარ დამრღვევთა რიცხვში სამართალდამცველებმა დაასახელეს მიანმუ, ჩინეთი, კორეის სახალხო- დემოკრატიული რესპუბლიკა, ლიბია, სომალი, სუდანი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ეკვატორიული გვინეა და ერიტრია.

* * *



**პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თვითმფრინავი დაიმსხვრა ბერლინში მისი გაფრენის წინა დღეს**

ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, ავიალაინერები, რომლითაც დაფრინავენ პოლონეთის მაღალჩინოსნები, მოძველდა და განახლებას საჭიროებს. ერთადერთი ტუ-154, რომელიც დარჩა მეორე ასეთი ლაინერის ავარიის შემდეგ სმოლენსკთან, იმყოფება სარემონტოდ მოსკოვში.

* * *



**თურქეთი „მშვიდობის ფლოტილიის“ აქტივისტებს შეხვდა, როგორც გმირებს. ისრაელმა გამოაქვეყნა მათი დასაგმობი ვიდეო**

450 აქტივისტიდან, რომლებიც სტამბოლში ჩავიდნენ, უმრავლესობა თურქეთის მოქალაქეა. მათ აეროპორტში ოვაციებით შეხვდნენ. ამ დროს გაეროს გენერალურმა მდივანმა მოითხოვა შეწყვიტონ ღაზის ბლოკადა. ისრაელელი სამხედროები კვლავ ამტკიცებენ, რომ თავს იცავდნენ და აქვეყნებენ ახალ ვიდეო ფაქტებს.

* * *

**ყავა არ ეხმარება ადამიანს გაღვიძებაში, დაადასტურეს ბრიტანელმა მეცნიერებმა**

ყავის მაფხიზლებელი ეფექტი – ილუზიაა. ყავის მოყვარულებს ურჩევნიათ თავი აარიდონ ამ სასმელის დილის ულუფას, ვინაიდან იგი იწვევს აღგზნებას და ზრდის სისხლის წნევას, მიაჩნიათ მეცნიერებს. ყავის მწარმოებლები ამას არ ეთანხმებიან.



ეს ჩვენი ისტორიაა

# ზანდუკელი, სანდუნოვი, სანდუკელი

**XVII-XVIII საუკუნეებს საქართველოს ისტორიაში ბედნიერს ვერ უწოდებ. ჟამთა სიავის გამო, მრავალ ქართველს მოუხდა სამშობლოს დატოვება. ბევრი ირანის სამსახურში აღმოჩნდა, ზოგი – თურქეთში, არაერთი, კიდევ უფრო შორს – აფრიკაში გადაიხვეწა. ყველა კი ეძებდა ხსნას, მაგრამ საქართველოს ბევრი ვერაფერი არგო...**

იყო ემიგრაციის კიდევ ერთი მიმართულება, ზოგისთვის რაღაც იმედის მომცემი, ზოგისთვის, უბრალოდ, იძულებითი. მოხდა ისე, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, რუსეთში ბევრი ქართველი აღმოჩნდა...

პირველი ქართული კოლონია, მოსკოვში, 1653 წელს შეიქმნა, როდესაც რუსეთის დედაქალაქში ჩავიდა თეიმურაზ პირველის შვილიშვილი ერეკლე-ნიკოლოზი დედასთან, დედოფალ ელენესთან ერთად. უფლისწული მხოლოდ 10 წლისა იყო, მას ბევრი მხლებელი ჰყავდა. 1654 წლის პირველ იანვარს ქართველი ბატონიშვილი, რომელსაც მოსკოვში შესვლისას უამრავი ხალხი დახვდა სტოლნიკების, სტრიაპჩებისა და მოსკოველი აზნაურების მეთაურობით, მეფე ალექსი მიხეილის ძემ წახნაგოვან პალატაში მიიღო. იყო ბევრი ვარაუდი, ხომ არ დადგა დრო, რომ შაჰმა ხელი აიღოს საქართველოზე და ის დაუთმოს რუსეთს? ხომ არ დამდგარა დრო, რუსეთის მხრიდან საქართველოს საქმეებში პირდაპირ ჩასარევად? სიტყვით, შესაძლოა, ყველაფერს ამბობდნენ, მაგრამ საქმით არაფერი გაკეთებულა.

ერეკლე-ნიკოლოზმა მოსკოვში მრავალი წელი გაატარა. 1671 წლის იანვარში, როცა ხანშიშესულმა მეფემ ალექსი მიხეილის ძემ მეორედ იქორწინა 20 წლის ნატალია კირილეს ასულ ნარიშკინაზე, ერეკლემ საქორწინო ცერემონიალზე ყველაზე დიდი თანამდებობა მიიღო: იგი განაგებდა საქორწინო მაყრიონს, ქორწილის მთელ ცერემონიალს, ლოცავდა სიძეს, უცვლიდა ბეჭდებს ნეფე-დედოფალს, იხდიდა ფულს ქორწინებისათვის, ახალდაქორწინებულებს წინ მიუძღვოდა. როცა 1672 წლის მაისში დედოფალმა ვაჟიშვილი – მომავალი იმპერატორი პეტრე შობა, ერეკლე-ნიკოლოზმა მაღალფარდოვანი სიტყვა წარმოთქვა. 29 ივლისს, როცა პეტრე მონათლეს, ერეკლეს და დედამისს, დედოფალ ელენეს ნათლობის ზეიმზე, მეფის შემდეგ, ყველაზე საპატიო ადგილი მიუჩინეს. 120 კერძიდან, რომელიც ხელმწიფის სუფრაზე დამსწრეებს ჩამოურიგეს, ქართველ უფლისწულს ორმოცი მიართვეს – გაცილებით მეტი, ვიდრე სხვა სტუმრებს.



ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ შედეგი? 1674 წელს ერეკლეს საქართველოში დაბრუნება მოუხდა, ისე, რომ დაპირებების გარდა, ვერაფერი მიიღო. მისი მრავალრიცხოვანი მხლებლები მოსკოვში დარჩნენ და საფუძველი ჩაუყარეს პირველ ქართულ კოლონიას რუსეთის დედაქალაქში.

სულ მალე, 1684 წელს, მოსკოვში ჩავიდა ქართველი ემიგრანტების მეორე ტალღა – მეფე არჩილი, თავისი ვაჟებით, ალექსანდრეთი და მამუკათი. შემდეგ, მეფე არჩილმა შვილები მოსკოვში დატოვა, თვითონ საქართველოში დაბრუნდა, გაიბრძოლა, მაგრამ, როცა ვერაფერს გახდა, 1699 წელს, უკვე საბოლოოდ, მოსკოვში დაბრუნდა, ამჯერად 150-კაციანი ამალით. მათ და ადრე ჩასულებმა მეორე ქართულ კოლონიას ჩაუყარეს საფუძველი.

მესამე ქართული კოლონიის შექმნას მეტი ტრაგიკული მოვლენები უძღვოდა წინ: ირანელებმა არ აპატიეს ვახტანგ მეექვსეს, რომ იგი, პეტრე პირველთან ერთად, არც მეტი, არც ნაკლები, ირანის დალაშქვრას აპირებდა. აკი დიდძალი ლაშქარიც მოაგროვა, 30 ათასი კაცი (ხომ წარმოგიდგენიათ, ამის ნახევარიც კი რომ ერეკლეს კრწანისთან ჰყოლოდა!!ძ. ახლა მას ირანელებთან ერთად, თურქებიც გადაემტერნენ. შაჰმა ქართლის ტახტი ვახტანგს ჩამოართვა და კახეთის მეფეს კონსტანტინეს გადასცა. თურქებმა კი კონსტანტინეც გააძევეს და თბილისიც თვითონ დაიკავეს. დაიწყო, ასე ვთქვათ, ისაყ-ფაშა ჯაყელის ხანმოკლე „მეფობა" ქართლში. ასეთ პირობებში ვახტანგს სხვა გზა რაღა ჰქონდა. 1724 წლის ივლისში, პეტრე პირველის ნებართვით, რუსეთში გაემგზავრა. მას 1186 კაცი ახლდა. მეფე იმედოვნებდა, რომ მალე დაბრუნდებოდა, და, რა თქმა უნდა, რუსეთის დახმარებით, დამპყრობლებს განდევნიდა. საყოველთაოდ ცნობილია, რა გამოვიდა აქედან, მოსკოვში კი ამიერიდან, ადრინდელზე მრავალრიცხოვანი მესამე ქართული კოლონია დაარსდა.

აი, ამ „მესამე ემიგრაციის" მეტად საინტერესო წარმომადგენლები იყვნენ ძმები სილოვან და ნიკოლოზ ზანდუკელები. ისინი ხომ რუსეთში კარგად იყვნენ ცნობილი სანდუნოვების გვარით და ამ ქვეყნისათვის ბევრი რამ გააკეთეს. ამავე დროს, ძმებს არასოდეს ავიწყდებოდათ, ვისი გორისანი იყვნენ, თუმცა საქართველო არ ენახათ. მათი პაპა მოსე ზანდუკელი იმ პირთა შორის იყო, რომლებიც ვახტანგ მეექვსეს იმ ისტორიულ თუ საბედისწერო მოგზაურობისას ახლდნენ.

უფროსმა ძმამ, სილოვანმა (1756-1810ძ, რომელსაც რუსეთში სილას ეძახდნენ, სახელი გაითქვა, როგორც თეატრალურმა მოღვაწემ. ძველ თუ ახალ დროში გამოცემულ თეატრალურ ცნობარში რომ ჩავიხედოთ, სილა სანდუნოვზე ბევრ საინტერესო ცნობას წავაწყდებით. 1776 წელს, 20 წლის ასაკში, იგი მოსკოვის თეატრალურ სცენაზე გამოჩნდა და სწრაფად დაწინაურდა – წამყვან როლებს ანდობდნენ, ბევრი გულშემატკივარიც გაუჩნდა, ყველგან რომ დასდევდნენ და ქომაგებობდნენ. მოსკოველი თეატრალებისათვის ფრიად უსიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ 1789 წელს, სილამ მიიღო პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის ხელმძღვანელის წინადადება და პირველი სატახტო ქალაქიდან „ჩრდილოეთ პალმირაში" გადაინაცვლა. აქ იგი, სულ მალე, თეატრის პრემიერი გახდა და უკვე პეტერბურგელი ქომაგების სიყვარული დაიმსახურა. „სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟული თეატრის" მსახიობები წარმოდგენებს საიმპერატორო სცენაზე მართავდნენ, კონკურენტებთან – საოპერო-საბალეტო დასთან, იტალიურ და ფრანგულ დასებთან მონაცვლეობით და „თეატრალური კომიტეტის" მოთხოვნილებები უნდა დაეკმაყოფილებინათ. აქედან ზოგი რამ საკმაოდ საინტერესოა: მსახიობი ვალდებული იყო, შეესრულებინა ახალი როლი, რომელსაც დირექტორი გაუპიროვნებდა (სანდუნოვი, როგორც პრემიერი, მხოლოდ წამყვან როლებს იღებდა მოლიერის „ტარტიუფში", გნებავთ, შილერის „ვერაგობასა და სიყვარულში"ძ, ამასთან, თუ მოითხოვდნენ თავისი ძველი როლი, რომელიმე ახალგაზრდა მსახიობისათვის უნდა გადაეცა. პრემიერს ერთი უფლებაც ჰქონდა – თვითონ უნდა შეერჩია მეორეხარისხოვანი და ეპიზოდური როლების შემსრულებლები. თუ თანამედროვეობისადმი მიძღვნილ პიესაში თამაშობდა, პრემიერი თავის ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ტანისამოსს იცვამდა, ისე, რომ მისთვის ახლის შეკერვა არ იყო საჭირო. მაგრამ, როგორც „თეატრალური კომიტეტი" მიუთითებდა, ტანისამოსი გემოვნებიანი და როლისათვის შესაფერისი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება მსახიობებს, ისინი, ზნეობრივი თვალსაზრისით, სანიმუშონი უნდა ყოფილიყვნენ, თუ არა, დიდი ფულადი თანხით დააჯარიმებდნენ.

სილა სანდუნოვთან ერთად, ერმიტაჟის თეატრში გამოდიოდა მისი მეუღლე, პეტერბურგელი ქალბატონი, მომღერალი (მეცო-სოპრანოძ ელისაბედი. თეატრალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ელისაბედი მღეროდა მთავარ პარტიებს მოცარტის „ჯადოსნურ ფლეიტასა" და კაუერის „დნეპრულ ალში", საკონცერტო ესტრადაზე დაამკვიდრა რუსული ხალხური სიმღერები.

სულ ახლახან გამოცემულ წიგნში „მსოფლიოს 100 უდიდესი თეატრი", მწერალი კ. სმოლინა სილა სანდუნოვს ასახელებს პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის ყველაზე გამოჩენილ მსახიობთა შორის. ამ სცენაზე თვრამეტწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, სილა, ოჯახური პირობების გამო, მეუღლესთან ერთად, მოსკოვში დაბრუნდა. თუმცა პეტერბურგშიც, 1810 წლამდე, ვიდრე თავის თეატრალურ მოღვაწეობას დაასრულებდა, ხშირად იმართებოდა მისი გასტროლები.

მოსკოვში დაბრუნების შემდეგ სილამ ერთი საინტერესო რამ გააკეთა: თავისი სახსრებით ააგო აბანო, რომელმაც მალე დიდი სახელი გაითქვა, და, ასე გასინჯეთ, პოპულარობით სარგებლობს დღემდე. ვინ არ იცის ეს განთქმული „სანდუნი", მისთვის დამახასიათებელი დიდი ცოცხებით, საბანაო რიტუალის თავისებური ნაწილი რომ გახდა.

დიდად ენერგიულმა სილამ საზოგადოების სულ სხვადასხვა ფენაში გაითქვა სახელი. საინტერესოა, რომ 1791 წელს მან კრილოვსა და პლავილშჩიკოვთან ერთად, დააარსა რუსეთში პირველი თავისუფალი სტამბა, მუშაობდა პედაგოგად და სხვადასხვა თეატრის რეჟისორად.

ახლა კი ზოგი რამ უმცროსი ძმის – ნიკოლოზ ზანდუკელ-სანდუნოვის (1766-1832ძ შესახებ. იგი ცნობილი იყო როგორც იურისტი, მწერალი და მთარგმნელი. მუშაობდა რუსეთის იმპერიის კანონების შემდგენელ კანცელარიაში. 12 წლის მანძილზე იყო სენატის ერთ-ერთი დეპარტამენტის მდივანი. 1810 წლიდან მოყოლებული, ნიკოლოზ ზანდუკელი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, კათედრის გამგე, მეცნიერულ-პოლიტიკური ფაკულტეტის დეკანი. ზოგჯერ, უნივერსიტეტის პრორექტორის მოვალეობასაც ასრულებდა.



ნიკოლოზ ზანდუკელი ფრიად ნაყოფიერი მწერალი იყო. შილერის დრამები „ყაჩაღები" და „ვერაგობა და სიყვარული" პეტერბურგისა და მოსკოვის სცენებზე მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, სწორედ მისი ჩინებული თარგმანით იდგმებოდა. ეკუთვნის არაერთი ორიგინალური პიესა, თუმცა მათგან ზოგი არცკი დაბეჭდილა, ავტორი ხელნაწერებით უგზავნიდა დედაქალაქებისა და პროვინციების თეატრებს, სადაც ათეული წლების განმავლობაში, წარმატებით იდგმებოდა. როგორც თანამედროვე მკვლევარები თვლიან, ეს პიესები პროგრესული მიმართულებისა და ოპოზიციური ხასიათისა იყო. ამით უნდა აიხსნას, რომ ზოგი მათგანი მოგვიანებით, ანონიმურად, ავტორის გვარის დაუსახელებლად დაიბეჭდა. ნიკოლოზ ზანდუკელი, რომელსაც თანამედროვეები დიდად აფასებდნენ, შესანიშნავ დრამატურგად და მეცნიერად თვლიდნენ, დღეისათვის, მაინც, ერთგვარად მივიწყებულია, მისი შემოქმედება სათანადოდ არ არის შესწავლილი.

ძმები ძალიან გონებამახვილები იყვნენ, ხშირად კამათობდნენ, ერთმანეთსაც არ ინდობდნენ. ერთხელ უმცროსმა ძმამ უფროსს (მსახიობსძ უთხრა:

– შენი ხელობის კაცი რა სახსენებელია! მისი ნახვა ხომ ყოველთვის ერთ რუბლად შეიძლება.

– მართალია, აი, შენი ხელობის კაცს ათ რუბლად თუ ნახავ – ასე დასცინა სილამ იურისტების განთქმულ მექრთამეობას.

ძმებს სანდუნოვებს საქართველო არასოდეს უნახავთ, მაგრამ ყოველთვის ცდილობდნენ მასთან კავშირის შენარჩუნებას. ამას ღირსების საქმედ თვლიდნენ. გაბრიელ რატიშვილი, რომელიც 1801 წელს პეტერბურგში ჩავიდა იოანე ბატონიშვილის მხლებლებთან ერთად, თავის ნაშრომში „მოკლე მოთხრობა რუსეთის შესახებ", წერდა, რომ ძმებს მეტად გულთბილი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ როგორც პეტერბურგელ, ისე მოსკოველ ქართველებთან. „იგი ხომ ქართველი იყო. სილა ხშირად გვხვდებოდა, ვუყვარდით, როგორც ღვიძლი ძმები, სახლში გვეპატიჟებოდა და კარგად გვიმასპინძლდებოდა". საინტერესოა, რომ სილას შვილი ვიქტორი, რომელიც 41 წლისა გარდაიცვალა, სანდუკელის (თითქმის ზანდუკელისძ გვარს ატარებდა და არა სანდუნოვისას.

**გივი გამრეკელი**

ინფორმაცია

## აბაშაში 54 წლის ქალი ჯილეხით დაავადდა

**ქუთაისის ინფექციურ პათოლოგიათა სამხარეო ცენტრში აბაშის რაიონიდან ჯილეხით დაავადებული პაციენტი მოათავსეს.**

**54 წლის მარინე ახალაიას ჯილეხი პირუტყვთან შეხების დროს გადაედო. პაციენტს დაავადების საშუალო სიმძიმის ფორმა აღენიშნება.**

**აღსანიშნავია, რომ ქუთაისის ინფექციურ საავადმყოფოში ჯილეხის დიაგნოზით კიდევ ერთი მამაკაცი მკურნალობდა, რომელსაც დაავადება შედარებით იოლ ფორმებში ჰქონდა.**

**ექიმების განცხადებით, ზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით ჯილეხის დაავადების ალბათობა იზრდება, ამიტომ მოსახლეობას მოუწოდებენ ამ კუთხით სიფრთხილე გამოიჩინონ.**

## ქარიშხალი ზუგდიდში

**ზუგდიდში ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა საუკუნოვანი ხეები წააქცია, რის შედეგადაც ორი ავტომობილი დაზიანდა.**

**შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა ავტომანქანის მფლობელები აცხადებენ, რომ მათი მანქანები დაზღვეული არ იყო და დახმარებას სახელმწიფოს სთხოვენ.**

**საუკუნოვანი ხეების წაქცევის გამო ზუგდიდში, ქალაქის ცენტრში მოძრაობა სამი საათის განმავლობაში ჩაკეტილი იყო.**

**აღსანიშნავია, რომ მსგავსი შემთხვევა ქალაქში უკვე მეოთხედ მოხდა, ერთ-ერთი მათგანი კი მსხვერპლით დასრულდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## განცხადება

**სს „გაერთიანებული ტელეკომის" აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ**

ს.ს. „გაერთიანებული ტელეკომის" სამეთვალყურეო საბჭოს 2010 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით სს „გაერთიანებული ტელეკომის" აქციონერთა კრება გაიმართება 2010 წლის 30 ივნისს 12 საათზე, მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. № 11, სასტუმრო „ინტურისტ-პალასი", შემდეგი დღის წესრიგით:

ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში

**დღის წესრიგთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოსა და საზოგადოების გენერალური დირექტორის რეკომენდაციები:**

განხორციელდეს ცვლილებები სს "გაერთიანებული ტელეკომის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო დღედ განისაზღვრა 2010 წლის 15 ივნისი.

საერთო კრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით აქციონერების უფლებამოსილების შემოწმება და დღის წესრიგთან დაკავშირებული წინადადების წარმოდგენა შეიძლება კრების თარიღამდე 10 დღით ადრე სს „გაერთიანებული ტელეკომის" კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. № 95

კალათბურთი

# ამერიკული ექსპრესი



ტორინ გრინი

**შემონდ უილიამსისა და ტაირონ ელისის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურს კიდევ ორი ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი მოირგებს. ესენი არიან გამთამაშებელი ტორინ გრინი და ფორვარდი ქუინტონ ჰოსლი. მათი გაქართველების შესახებ გადაწყვეტილება ფედერაციის თავკაცებმა „ჯვაროსანთა“ მთავარ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვთან ერთად ხანგრძლივი დაკვირვებების შემდეგ მიიღეს.**

შეგახსენებთ, რომ ელიტაში აღზევებული ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ორ თვეში ჩაებმება და სასტარტო მატჩს 2 აგვისტოს თბილისში პოლონელებთან გამართავს. სწორედ მომავალი უმნიშვნელოვანესი ბატალიებისთვის გაძლიერების მიზნით მოიწვიეს ოკეანისგაღმელები საქართველოში, თუმცა არის ერთი გარემოება, რომელიც მათ სარბიელზე ერთდროულად გასვლის საშუალებას არ მისცემს. ესაა ფიბა-ევროპის რეგლამენტი, რომელიც შესარჩევი მატჩისწინა განაცხადში მხოლოდ ერთი ნატურალიზებული მოთამაშის შეყვანის უფლებას იძლევა. ამდენად, სავარაუდოა, რომ ჩვენებურთა სერბი დამრიგებელი მომავალ შეხვედრებში არჩევანს მეტოქეთა სიძლიერისა და ტაქტიკის მიხედვით გააკეთებს (ბელგია, პორტუგალია, ბულგარეთი, პოლონეთი).

დასასრულს, გაგაცნობთ ახალწვეულთა სადარბაზო ბარათს.

**ტორინ გრინი. უკანახაზელი.** დაიბადა 1985 წლის 28 ნოემბერს. სიმაღლე – 183 სმ. კარიერა – ფლორიდის უნივერსიტეტი (**ნკაა**, 2004-2007 წლებიძ, „პორტლენდი“, „დენვერი“ (**ნბა**, 2007-2008 წლებიძ, „სარაგოსა“ (ესპანეთი, 2008-2009 წლებიძ, აეკი (საბერძნეთი, 2009-2010 წლებიძ. საშუალო პირადი მონაგარი ბერძნულ კლუბში გამართულ 23 მატჩში: 15,1 ქულა; 2,9 მოხსნა; 3,6 პასი; 1,4 ჩაჭრა; სამქულიანების პროცენტი – 38,6 (140-დან 54 ზუსტი ტყორცნაძ.



ქუინტონ ჰოსლი

**ქუინტონ ჰოსლი. მსროლელი.** დაიბადა 1984 წლის 25 მარტს. სიმაღლე – 198 სმ. კარიერა – უნივერსიტეტი ფრესნო – სტეიტი (**ნკაა**, 2005-2006 წლებიძ, „პინარი“ (თურქეთი, 2007-2008 წლებიძ, „რეალი“ (ესპანეთი, 2008-2009 წლის იანვარიძ. საშუალო პირადი მონაგარი „სამეფო კლუბში“: ქვეყნის ჩემპიონატის 21 მატჩი – 7 ქულა; 3,5 მოხსნა; ევროლიგის 13 მატჩი – 8,6 ქულა, 3,2 მოხსნა; „გალათასარაი“ (თურქეთი, 2009 წლის იანვარ-მაისიძ, „ალიაგა იზმირი“ (თურქეთი, 2009-2010 წლებიძ. საშუალო პირადი მონაგარი უკანასკნელ გუნდში გამართულ 28 მატჩში: 18,1 ქულა; 8 მოხსნა; 4 პასი; 2,6 ჩაჭრა. 2007 და 2009 წლებში **ნბა**-ს საზაფხულო ლიგებში „მინესოტასა“ და „დალასის“ სპორტულ ღირსებას იცავდა.

სეზონის წინ

# ელირსებაო „ტორპედოს“...

**დღეს უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული ქუთაისის „ტორპედოს“ საღორიის საწვრთნელ ბაზაზე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ფეხბურთელებს ახალ თავკაცს რამაზ მუმლაძეს წარუდგენენ.**

ქართულ სპორტულ ცხოვრებაში გათვითცნობიერებული გულშემატკივრისთვის მისი სახელი კარგადაა ცნობილი დედაქალაქის „ვიტ ჯორჯიაში“ ნაყოფიერი მოღვაწეობით, რომელსაც შარშან ეროვნული ჩემპიონატი შედარებით ხანმოკლე ბიოგრაფიაში მეორედ მოაგებინა, ხოლო კიდევ ორჯერ ვერცხლის მედლები მოაპოვებინა.

დავძენთ, რომ ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივითა და მთავრობის ხელშეწყობით რიონისპირული კლუბის მეურვეობა დამდეგ სეზონში კომპანია „ვისოლის“ ხელმძღვანელებმა, ძმებმა სოსო და ლევან ფხაკაძეებმა იტვირთეს, რაც ქართულ სინამდვილეში უპრეცედენტო შემთხვევაა. ვიმედოვნებთ, მათ მაგალითს სხვა წელგამართული ბიზნესმენებიც მიბაძავენ.

რაც შეეხება ქუთათურთა წინამორბედს – შპს საფეხბურთო კლუბ „ტორპედო-2008“-ს, გავრცელებული ინფორმაციით, მან არსებობა შეწყვიტა. მოგეხსენებათ, იგი სახელმწიფოს 100-პროცენტიანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ორგანიზაცია იყო, ასეთ სუბიექტს კი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რეგლამენტის თანახმად, ისედაც არ ჰქონდა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება.

ასე რომ, გზა დავულოცოთ ელიტის ტრადიციებით მდიდარ ძველ ახალ ბინადარს.

ჩოგბურთი

# ავსტრიის სახელით



**ეს არწივი ძალიან მაღლა აფრინდაო, სწორედ რომ იურგენ მელცერზეა ნათქვამი.**

**იგი თომას მუსტერის შემდეგ პირველი ავსტრიელია, დიდი შლემის ერთ-ერთი ტურნირის ნახევარფინალს რომ უწია და დღეს პარიზის „როლან გაროსის“ მთავარ კორტზე გრუნტის მეფეს ესპანელ რაფაელ ნადალს შეხვდება.**

29 წლის „ცაციამ“ კარიერის საუკეთესო შედეგისკენ მიმავალ ბილიკზე გზა მართლაც რომ ტიტანური ძალისხმევით გაიკვალა, როცა მსოფლიოს მესამე ჩოგბანს, სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩს ორი სასტარტო პარტიის წაგების – 3:6, 2:6 შემდეგ ზედიზედ სამ სეტში დააყრევინა ფარ-ხმალი – 6:2, 7:6, 6:4.

რაც შეეხება მალიორკას მკვიდრს, მან მიჯრით მეშვიდედ სძლია თანამემამულე ნიკოლას ალმაგროს – 7:6, 7:6, 6:4, თუმცა, როგორც საოქმო მონაცემებიც მოწმობს, საამისოდ კარგა გვარიანი ოფლი ღვარა. დღევანდელ ნახევარფინალში მელცერის წინააღმდეგ ესპანელს დამატებითი სტიმული ექნება – გამარჯვების შემთხვევაში იგი ერთწლიანი პაუზის შემდეგ პროფესიონალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო რეიტინგის პირველ პოზიციაზე დაბრუნდება.

დღესვე დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი შვედი რობინ სოდერლინგისა და ჩეხი ტომაშ ბერდიხის დუელში, ქალთა უძლიერესი კვარტეტი კი რუსმა ელენა დემენტიევამ, იტალიელმა ფრანჩესკა სკიავონემ, ავსტრალიელმა სამანტა სტოსურმა და სერბმა ელენა იანკოვიჩმა შეადგინეს.

რაგბი

# ირბ-ის თასზე ვითამაშებთ

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები დღეს რუმინეთს გაემგზავრება და 11 ივნისიდან ირბ-ის ერთა თასზე ითამაშებს. ნაკრების ავსტრალიელი მთავარი მწვრთნელი ტიმ ლეინი ტრავმების გამო შეჯიბრებაზე გუნდის უძლიერესი შემადგენლობით წაყვანას ვერ ახერხებს. ამიტომ ბუქარესტში უმთავრესად უახლოეს რეზერვს გამოსცდის, ანუ იმ მორაგბეებს, რომლებსაც 2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაზე მოხვედრის შანსი აქვთ.**

უკვე ცნობილია, რომ ბორჯღალოსნები (დავით დადუნაშვილი, ბიძინა სამხარაძე, გიორგი როხვაძე, ლაშა ხმალაძე, რევაზ გიგაური, გიგა კორკელია, მამუკა ნინიძე, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი ჩხიკვაძე, სანდრო თოდუა, მალხაზ ურჯუკაშვილი, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი ყიასაშვილი, კარლენ ასეიშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, ირაკლი ნატრიაშვილი, ვასილ კაკოვინი, ბექა შეყლაშვილი, შალვა სუთიაშვილი, კახაბერ უჩავა, კობა მიქაუტაძე, სიმონ მაისურაძე, ვიქტორ კოლელიშვილი, ლაშა თავართქილაძე, შოთა საყვარელიძე, დიმიტრი ბასილაიაძ რუმინეთში სამ შეხვედრას გამართავენ: 11 ივნისს შოტლანდიის A ნაკრებს დაუპირისპირდებიან, ოთხი დღის შემდეგ მათი მეტოქე იტალიის A ნაკრები იქნება, 20 ივნისს კი ბოლო პაექრობას ნამიბიასთან გამართავენ. ამავე დღეებში სხვა გუნდების შეხვედრების განრიგი ასეთია: 11 **ივნისი.** რუმინეთი – ნამიბია, იტალია A – არგენტინა A; 15 **ივნისი.** შოტლანდია A – ნამიბია, რუმინეთი – არგენტინა A. **20 ივნისი**. რუმინეთი – იტალია A, შოტლანდია A – არგენტინა A.



ჭიდაობა

# „ოქროს გრანპრი“ – სპორტის სასახლეში

**თბილისის სპორტის სასახლეში 5-7 ივნისს ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში სახელოვანი ქართველი ფალავნების – გივი კარტოზიას და ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირები გაიმართება.** რადგან მასპინძლებზე შეზღუდვა არ არის, შეჯიბრებაში ორივე სტილით 80-მდე მოჭიდავე ჩაებმება. ტრავმების გამო გულშემატკივრები ხალიჩაზე ვერ იხილავენ ოლიმპიურ ჩემპიონებს – რევაზ მინდორაშვილსა და მანუჩარ კვირკველიას, მსოფლიო ჩემპიონებს – დავით ბედინაძესა და რამაზ ნოზაძეს, ასევე, შმაგი გულიაშვილს.

ბალავაძე-კარტოზიას სახელობის „ოქროს გრანპრიზე“ ჩემპიონები 1500, მეორე და მესამე პრიზიორები, შესაბამისად, 800 და 500 დოლარს მიიღებენ.

უნივერსიადა – 2010

# დაწინაურდა ილიას უნივერსიტეტი

**საქართველოს სპორტულ ბაზებზე გრძელდება „უნივერსიადა-2010“-ის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები, რომლებშიც კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები მონაწილეობენ.**



ცხრა სახეობის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენები დაწინაურდნენ. მათ 36 მედალი მოიპოვეს, მათ შორის – 15 ოქროსი, 11 ვერცხლისა და 10 ბრინჯაოსი. 27-27 მედლით მეორე-მესამე ადგილებს თსუ (13, 6, 8ძ და აგრარული უნივერსიტეტი (8, 11, 8ძ ინაწილებენ. ასპარეზობები 11 ივნისს დამთავრდება.

ინტერნეტიდან

## უკრაინა უეფას აოცებს




**ალბათ გახსოვთ, რამდენი მითქმა-მოთქმა იყო ფეხბურთში 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის სამასპინძლოდ უკრაინაში (პოლონეთთან ერთადძ მიმდინარე არადამაკმაყოფილებელი სამზადისის შესახებ და უკვე ეძებდნენ იმ ქვეყნის კანდიდატურას, ვისთვისაც შეიძლებოდა „ევრო-2012“-ის გადაცემა.**

ისიც ცნობილია, რომ უკრაინის პრესტიჟს თავგამოდებით იცავდა თავად უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი. შეიძლება ითქვას, რომ მან პირად კონტროლზე აიყვანა უკრაინაში ეს სამზადისი. აპრილში პლატინი ერთხელ კიდევ ჩავიდა კიევში და შეხვდა ქვეყნის ხელმძღვანელობას. მზადების გაუმჯობესების გარანტიაც მიიღო მისგან.

და აი, ორი თვის შემდეგ უეფას სამეთვალყურეო საბჭომ მოიწონა ევროპის ჩემპიონატის მისაღებად უკრაინის სამზადისის რადიკალური გამოსწორება და დაადასტურა უკრაინის 4 ქალაქში – კიევში, დონეცკში, ლვოვსა და ხარკოვში ჩემპიონატის მატჩების გამართვის უფლება.

როგორც უეფას საბჭოს სხდომის შემდეგ უკრაინის ვიცე-პრემიერმა ბორის კოლესნიკოვმა განაცხადა, უეფა გაკვირვებულია ბოლო 2 თვეში უკრაინაში გაწეული სამუშაოთი.

## ასეთია მაისის ნაკრები

**ალბათ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის გულშემატკივრებს განსაკუთრებით დააინტერესებთ, თუ მათი რჩეული ფეხბურთელებიდან, მათ შორის მუნდიალის მონაწილეთაგან ვინ გამოიჩინა ეროვნულ ჩემპიონატებში თავი, რადგან სწორედ მათგან ადგენს ევროპული სპორტული გამოცემების ასოციაცია (ESMძ ამა თუ იმ თვის სიმბოლურ ნაკრებს, რასაკვირველია, ევროპის სპორტული გამოცემების რეკომენდაციით. აი, როგორ გამოიყურება მაისის სიმბოლური ნაკრები:**

**ჟულიო სეზარი** (7 ხმაძ, **მაიკონი** (4ძ, **ლუსიუ** (3ძ, **სამუელი** (5 – ყველანი „ინტერიდან“ არიანძ, **ლამი** („ბავარია“ – 4 ხმაძ, **სნაიდერი** („ინტერი“ – 7ძ, **რობენი** („ბავარია“ – 8ძ, **მესი** („ბარსელონა“ – 7ძ, **ფორლანი** („ატლეტიკო“ – 6ძ, **მილიტო** („ინტერი“ – 8ძ, **დროგბა** („ჩელსი“ – 6ძ.

## ჩემპიონი ყალთაბანდობს?

**მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ველომრბოლი, ოლიმპიური ჩემპიონი, შვეიცარიელი ფაბიენ კანჩელარა დაადანაშაულეს „ტექნიკური დოპინგის“ გამოყენებაში. ინტერნეტში გამოჩნდა „მამხილებელი“ ვიდეო, რომელიც ცნობილ სპორტსმენს ამხელს ველოსიპედის მექანიზმის მაქინაციაში, რაც მას უპირატესობას ანიჭებს მეტოქეებთან.**

როგორც ვიდეოდან ჩანს, ტექნიკურად შესაძლებელია საჯდომის ქვეშა მილში ისეთი მოწყობილობის ჩამონტაჟება, რომელიც ველოსიპედისტს ეხმარება პედლების სწრაფ ტრიალში. ეს მოწყობილობა ისე მონტაჟდება, რომ გარედან არ შეინიშნება, მისი მართვა კი შეიძლება საჭის ღილაკიდან. ვიდეოკადრებიდან ჩანს, თუ როგორ იგებს ის „პარიზ-რუბესა“ და „ფლანდრიის ტურის“ რბოლების ეტაპებს, ხელსაწყოს ჩასართავად ხელის დამახასიათებელი მოძრაობის შემდეგ.



ჩვენი კარაბადინი

# როგორ შევამციროთ ასაკთან დაკავშირებულ დაავადებათა განვითარების რისკი

ერთხელ სესილია თაყაიშვილს შეეკითხნენ: „როგორ გრძნობთ თავს?“ პასუხს არ დაუყოვნებია: „მტკივა ღვიძლი, გული, ფეხი, თავი. კიდევ კარგი, მამაკაცი რომ არა ვარ, თორემ წინამდებარე ჯირკვალიც ამტკივდებოდა!“

სამწუხაროდ, ადამიანი დიდხანს არ ცოცხლობს. ასაკთან ერთად, 45-50 წლის შემდეგ, ადამიანების უმრავლესობას ჯანმრთელობა თანდათან უუარესდება, გროვდება სტრესი, დაღლილობა და სხვა დაავადებანი. XX საუკუნის ბოლოს ასეთი გამოთქმაც კი გაჩნდა: „დაავადებანი – სიბერის გარდუვალი თანამგზავრები არიანო“. მეცნიერები ამ დაავადებებს, უწინარეს ყოვლისა, მიაკუთვნებენ გულ-სისხლძარღვთა (ათეროსკლეროზი და მისი გართულება – ინფარქტი, ინსულტი), სახსრების დეგენერატიული დაავადებანი (ოსტეოართროზი, ოსტეოპოროზი), შაქრის დიაბეტი და ნერვული სისტემის დაავადებანი. ამ დაავადებებს აერთიანებს ის, რომ ყველა მათგანი დიდ წამებას აყენებს ადამიანს და ხშირად მივყავართ შრომის უნარის დაკარგვამდე, დაინვალიდებამდე.

**შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა რაიმეს გამოყენება იმისთვის, რომ არ განვითარდეს ეს დაავადებები?**



**პასუხი:** ამჟამად თავად სიბერის პროცესზე გავლენის მოხდენა არ შეგვიძლია, მაგრამ ბევრის გაკეთება კი – ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის.

თითოეულ ჩვენგანს აქვს რისკის ფაქტორი ამა თუ იმ დაავადების განვითარებისთვის, თანაც ეს ფაქტორები ხშირად ემთხვევიან ერთმანეთს სხვადასხვა დაავადებებისთვის. მაგალითად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და ოსტეოართროზისთვის რისკის საერთო ფაქტორებია: ასაკი, სხეულის ზედმეტი წონა (სიმსუქნე), მემკვიდრეობითი მიდრეკილება, ქოლესტერინის გაზრდილი დონე, სისხლში შაქრის გაზრდილი დონე და არასწორი მამოძრავებელი რეჟიმი. მსუქან ადამიანებს უფრო ხშირად აწუხებთ მუხლის სახსრების ართროზი (4-ჯერ მეტად), არტერიული ჰიპერტონია, შაქრის დიაბეტი, ვიდრე ნორმალური წონის ხალხს. ამიტომ იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ დაავადება და არ მივცეთ მას სრული განვითარების საშუალება, საჭიროა ყურადღებით ვადევნოთ თვალყური საკუთარ ჯანმრთელობას, გავითვალისწინოთ და შეძლებისდაგვარად თავიდან ავიცილოთ რისკის არსებული ფაქტორები. მაგალითად, გაზრდილ წონასთან ბრძოლა, სწორი კვება, სისხლში ქოლესტერინის დონის კონტროლი, საკმარისი მამოძრავებელი აქტიურობა – საშუალებას გვაძლევს ამავდროულად შევამციროთ როგორც გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა განვითარების, ისე ოსტეოართროზის რისკები. უნდა გვახსოვდეს, რომ გულისა და საყრდენ-სამოძრაო აპარატის დაავადებათა პროფილაქტიკა შეიძლება დავიწყოთ ნებისმიერ ასაკში. უფრო ადვილია დაავადების თავიდან აცილება, ვიდრე მკურნალობა!

**სასარგებლო რჩევები, რომ არ დავბერდეთ და ავად არ გავხდეთ:**

**1. თვალყური ადევნეთ თქვენს წონას.**

**2. მეტი იმოძრავეთ.**

**3. გამოიყენეთ სამკურნალო ფიზკულტურა.**

**4. იკვებეთ სწორად (საკვებში მეტად გამოიყენეთ ბოსტნეული, ხილი და ცხიმოვანი მჟავების ომეგა-3 (თევზი).**

**5. რეგულარულად მიმართეთ ექიმს და გამოიკვლიეთ თავი რისკის ფაქტორებისა და ფარულ დაავადებათა გამოვლენის მიზნით.**

თუ დაავადება უკვე განვითარდა, და ექიმმა დაგისვათ ოსტეოართროზის დიაგნოზი, მაშინ ოპტიმალური სამკურნალო ტაქტიკის განსაზღვრისთვის საჭიროა გაიაროთ კომპლექსური გამოკვლევა და არა მხოლოდ სახსრებისა, არამედ თანმდევი დაავადებებისაც (ათეროსკლეროზი, არტერიული ჰიპერტონია, გულის უკმარისობა, საკვების გადამუშავების სისტემა). ექიმი ასევე შეაფასებს გულისა და სისხლძარღვთა გართულების რისკსაც (ინსულტი, ინფარქტი). სამკურნალო შესაძლებლობანი არსებითად იქნება შეზღუდული გულის დაავადებათა, ჰიპერტონიის, კუჭის წყლულისა და თორმეტგოჯა ნაწლავის, ქვედა კიდურების ვენების ვარიკოზული გაფართოების, გართულებული თრომბოზების და, შინაგანი ორგანოების ბევრი სხვა დაავადების დროს. იმასთან დაკავშირებით, რომ ოსტეოართროზის ძირითადი გამოვლინება ტკივილია, პაციენტებს პრაქტიკულად მუდმივად უხდებათ ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების მიღება. დღემდე ოსტეოართროზის დროს ტკივილგამაყუჩებელი თერაპიის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების (აასპ) მიღება. მაგრამ, ტკივილის შემცირებასთან დაკავშირებული უეჭველი ეფექტიანობის მიუხედავად, აასპ-ის მიღებამ თუნდაც მცირე დოზებით, შეიძლება მიგვიყვანოს გვერდითი ეფექტების განვითარებასთან, უწინარეს ყოვლისა გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და კუჭნაწლავთა ტრაქტის მხრიდან. გვერდითი ეფექტების განვითარების განსაკუთრებით მაღალი რისკი აქვთ ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებიც აასპ-ის მომხმარებელთა 60-ზე მეტ პროცენტს შეადგენენ. ამჟამად აღწერილია ისეთი არასრული რეაქციები, როგორიცაა არტერიული წნევის ამაღლება, სითხის შეჩერება ორგანიზმში, თირკმლების ფუნქციების დაქვეითება, ქრონიკული გულის უკმარისობის პროგრესირება, თრომბის წარმოქმნისადმი მიდრეკილების ზრდა (რამაც შეიძლება ინფარქტთან ან ინსულტთან მიგვიყვანოს). ამიტომ აასპ-ის მიღება აუცილებლად უნდა მოიწონოს თქვენმა მკურნალმა ექიმმა.

**უცხოური პრესის მიხედვით**

**შოკოლადი სიბერის წინააღმდეგ**

**ახლახან მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მუქი შოკოლადის ყოველდღიურად მირთმევა ნაოჭების გაჩენის საწინააღმდეგო და კანის ულტრაიისფერი გამოსხივებისგან დამცავი საუცხოო საშუალებაა, იგი ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს კანის კიბოთი დაავადების საშიშროებას.**



ალიან-ჩალიანი

## ჯარისკაცის მკვლელობის მიზეზი დადგენილია

რუსული მხარე ახალგორის ოკუპირებულ რაიონში რუსი ჯარისკაცის სიკვდილის მიზეზად თვითმკვლელობას ასახელებს.

ამის შესახებ „კავკაზკი უზელი“ იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, თავდაპირველად ჯარისკაცის სიკვდილის მიზეზად სამხედროებს შორის უთანხმოება დასახელდა, რომელსაც სროლა მოჰყვა. თუმცა, რუსეთის ძალოვანი უწყების წარმომადგენლების მტკიცებით ჯარისკაცმა თავი მხოლოდ ყოფითი პრობლემების გამო მოიკლა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. საზღვარზე ახალგორის რაიონში გარდაცვლილი რუსი ჯარისკაცი იპოვეს. გვამი სოფელ ქარჩოხში აღმოაჩინეს, მას ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობა საფეთქლის არეში აქვს მიყენებული. რუსეთი ფედერაციის ჯარისკაცი სოფელ ქარჩოხის რუსულ სამხედრო ნაწილში მსახურობდა.

## ორმილიონამდე ევროს სათბურში მალავდა

წყალტუბოს რაიონში სამართალდამცავებმა ერთ-ერთი მოქალაქის სათბურიდან 1 მლნ. 700 ათასი ევრო ამოიღეს.

სამართალდამცავებმა წყალტუბოს რაიონის სოფელ ტყაჩირში სპეცოპერაცია ჩატარდა.

როგორც ქუთაისიდან იტყობინებიან, ერთ-ერთი მოქალაქის კუთვნილ სათბურში სამართალდამცავებმა ერთი მილიონ 700 ათასი ევრო იპოვეს ჩამარხული.

სათბურის მეპატრონე არის ვინმე ბოჭორიშვილი, რომელიც, სავარაუდოდ, ესპანეთში ცხოვრობს.

## დააკავეს ყალბი დიპლომის დამამზადებელი

კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ლაგოდეხის დამოუკიდებელი სამედიცინო სასწავლებლის შპს „კვალის“ დირექტორი თამარ ჯაჯანიძე და საქმის მწარმოებელი და მოლარე დალი რაზმაძე, რომლებმაც ერთ-ერთ მოქალაქეს 1800 ლარის სანაცვლოდ დაუმზადეს და გადასცეს ფარმაცევტის ყალბი დიპლომი.

სამართალდამცველებმა ორივე ეჭვმიტანილი უშუალოდ ფაქტზე დააკავეს.

მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ორიდან ოთხ წლამდე ვადით.

## პატარა დები მდინარემ იმსხვერპლა

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოში მდინარეში ორი არასრულწლოვანი დაიხრჩო.

გავრცელებული ინფორმაციით, დები საფარიძეები სკოლიდან სახლში ბრუნდებოდნენ, როდესაც მდინარეში ბანაობა გადაწყვიტეს.

მდინარემ ჯერ ერთი ბავშვი წაიღო, რომლის დახმარებაც მისმა დამ გადაწყვიტა.

სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა დამხრჩვალი დების ცხედრები უკვე იპოვეს.

## ტრაგედია ქუთაისში

ქუთაისში, სატვირთო მატარებელმა 28 წლის ამირან კუბლაშვილი გაიტანა.

კუბლაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. წინასწარი ინფორმაციით, 28 წლის ახალგაზრდა ნასვამი იყო და საცხოვრებელ სახლთან ახლოს ლიანდაგზე სეირნობდა.

გარდაცვლილის ახლობლების განცხადებით, კუბლაშვილის დაღუპვა უბედური შემთხვევა იყო და მომხდარში არავის არ ადანაშაულებენ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

შემოქმედებითი კავშირი „საქართველოს თეატრალური საზოგადოება“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი
გიზო სიხარულიძე
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

როინ მეტრეველი, ავთანდილ წოწკოლაური, ემილ კოპალიანი, გრანი ქავთარია, ოთარ მიმინოშვილი, ვახტანგ გურული, დიმიტრი ლეთოდიანი ღრმა მწუხარებას გამოხატავენ
სოსო ჭანტურიშვილის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შვილი მანანა, სიძე პეტრე ჩხეიძე, შვილიშვილები ალიკო, ირაკლი, რძლები ლენა, ირინა, შვილთაშვილები ლიზა, პეტრე, ლუკა, ალექსანდრე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ელეონორა აბუევა
პანაშვიდი 4, 5 VI, 18 სთ. გამოსვენება 6 VI, 14 სთ. მისამართი: თბილისი, ბოლქვაძის 3, III სადარბაზო, ბინა 52.

### მე-10 საერთაშორისო

# „ექსპო ჯორჯია“ ახალ სამედიცინო ტექნოლოგიებს მასპინძლობს





3-6 ივნისს საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიას“ მე-11 პავილიონი სამედიცინო ტექნოლოგიების, ლაბორატორიული აღჭურვილობის და სტომატოლოგიის მე-10 საერთაშორისო სპეციალიზებულ გამოფენას Caucasus Healthcare 2010 და კოსმეტიკისა და ესთეტიკური მედიცინის მე-5 საერთაშორისო გამოფენას მასპინძლობს.

ორგანიზატორია გამოფენების ცენტრი „ექსპო ჯორჯია“, ხოლო მხარდამჭერია – თბილისის მერია.

გამოფენაზე წარმოდგენილია პროდუქცია და მომსახურება საქართველოდან და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან.

46 საგამოფენო სტენდზე 60-ზე მეტი კომპანიისა და საწარმოს პროდუქციას იხილავთ: ელექტრომედიცინას, ლაბორატორიების ტექნიკას, საავადმყოფოების აღჭურვილობას, დიაგნოსტიკას, სტომატოლოგიას, ოფთალმოლოგიას, ესთეტიკურ მედიცინას, დეკორატიულ და სამკურნალო კოსმეტიკას, კანის დიაგნოსტიკას, თმისა და ფრჩხილის მოვლის საშუალებებს, პარფიუმერიას...

5 ივნისს დაგეგმილია შპს „ნატუროპათიის“ სემინარი თემაზე: „ფიზიოლოგიურ-მარეგულირებელი თერაპია და მეზოთერაპია ესთეტიკურ მედიცინაში“.

გამოფენების პარალელურად გაიმართება პრეზენტაციები, სემინარები და მასტერ-კლასები.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +19 – +30 |
| ქუთაისი. | +27 – +36 |
| ბათუმი. | +20 – +31 |
| ზუგდიდი. | +21 – +32 |
| თელავი. | +18 – +32 |

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8068 ლარი |
| 1 ევრო | – 2.2092 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6495 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7929 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.7803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2484 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2798 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1422 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6456 ლარი |



### დღის კალენდარი

## 4 ივნისი

მოწამისა ვასილისკოსი, აფხაზეთის კომანში წამებულისა (დაახლ. 303წ; მოწამისა იოანე ვლადიმერისა, სერბეთის მთავრისა (1015წ; ხსენება მეორე მსოფლიო კრების წმიდათა მამათა (381წ.



ამოდის 04.31
ჩადის 19.26



ამოდის 20.16
ჩადის 04.25

## დაიბადნენ:

**1772 – ფრიდრიხ არნოლდ ბროკჰაუზი,** ცნობილი ენციკლოპედიური გამომცემლობის დამაარსებელი. გარდაიცვალა 1832 წელს.

**1782 – თეიმურაზ ბატონიშვილი,** მწერალი, მეცნიერი, გიორგი XII-ს ძე. გარდაიცვალა 1846 წელს.

**1856 – ვასილ ბარნოვი,** მწერალი. გარდაიცვალა 1934 წელს.

**1881 – ალექსანდრ კერენსკი,** რუსეთის თებერვლის რევოლუციის მოღვაწე, დროებითი მთავრობის მეთაური. გარდაიცვალა 1970 წელს.

**1916 – რობერტ სტურუა,** მხატვარი-მონუმენტალისტი. გარდაიცვალა 1982 წელს.

**1923 – ედმონდ კალანდაძე,** მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

**1926 – კონსტანტინე წერეთელი,** ქართველი ენათმეცნიერი, სემიტოლოგი. გარდაიცვალა 2004 წელს.

**1928 – მუჰამედ ჰოსნი მუბარაკი,** ეგვიპტის პრეზიდენტი.

**1929 – ოდრი ჰეპბერნი,** ანგლო-ჰოლანდიური წარმოშობის ბრიტანელი მსახიობი. გარდაიცვალა 1993 წელს.

## გარდაიცვალნენ:

**1797 – აღა-მაჰმად-ხანი,** ირანის შაჰი (1796-1797წ, ყაჯართა დინასტიის დამაარსებელი.

**1938 – კარლ ოსეცკი,** გერმანელი ჟურნალისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1955 – ჯორჯე ენესკუ,** რუმინელი კომპოზიტორი.

## მოვლენები:

**1854 წელი** – გაიმართა ჩოლოქის ბრძოლა, ქართველთა ლაშქარმა დაამარცხა ოსმალთა ჯარი.

**1918 წელი** – დაიდო ბათუმის ხელშეკრულება საქართველოსა და ოსმალეთს შორის. ხელშეკრულებით ოსმალეთს გადაეცა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები.

**1924 წელი** – პარიზში გაიხსნა VIII ოლიმპიური თამაშები.

**1961 წელი** – ამერიკელებმა მ. როსმა და ვ. პრატერმა დაამყარეს სიმაღლის რეკორდი აეროსტატებისთვის – 34 668 მეტრი.

**1979 წელი** – მარგარეტ ტეტჩერი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გახდა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ტონგა** – მემკვიდრე პრინცის დღე.
**ზამბია** – შრომის დღე.
**ჩინეთი** – ახალგაზრდობის დღე.
**ნიდერლანდები** – მიცვალებულთა მოხსენიების დღე.
**იაპონია** – ეროვნული დღესასწაული.

**მედიანიუსი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

### ანეკდოტები

„სუვერენული დემოკრატია“ წარმოსდგება არა სიტყვისგან „სუვერენიტეტი“, არამედ სიტყვისგან „სუვერენი“, რაც ლექსიკონებში ასეა განმარტებული – „პიროვნება, რომელსაც რაიმე შეზღუდვის გარეშე, განუსაზღვრელი დროით და მთლიანად ეკუთვნის უმაღლესი ხელისუფლება სახელმწიფოში“.

* * *

სიბრძნე წლებს მოაქვს და... წლებსვე მიაქვს.

* * *

სვანმა ფარდის დაუთოვება დაიწყო და გადავარდა...

* * *



სვანს გარეცხილი შარვალი გადაფენისას აივნიდან გადაუვარდა.

– კიდევ კარგი, კაცო, რომ არ მეცვა...

* * *

სვანი გახარებული მივიდა სახლში.

– დღეს ტაქსის მძღოლი გადავაგდე, –ეუბნება ცოლს.

– როგორ?

– ფული მივეცი, მაგრამ ტაქსში არ ჩავუჯექი.

* * *

– შევცოდე, შემინდე, მამაო, – ეუბნება რაჭველი მღვდელს.

– რა შესცოდე, შვილო ჩემო?

– მეგრელი მოვატყუე.

– ეს ცოდვა კი არა, შენგან სასწაულია, შვილო ჩემო!

* * *

კახელი ღამით საშინელ სეტყვაში მოჰყვა. თავი სულ კოპებით აქვს სავსე. უცებ გაიელვა კიდეც.

– გაუნათე, ჰო, გაუნათე, როგორმე არ ამაცილოს!

### კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.